RONDELI FOUNDATION

GEORGIAN FOUNDATION FOR
STRATEGIC AND INTERNATIONAL STUDIES

ახალგაზრდების ღირებულებები და პოლიტიკური აქტივიზმი საქართველოში

2021

©საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიეთობების კვლევის ფონდი 2021

საავტორო უფლებები დაცულია და ეკუთვნის საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ფონდს. წერილობითი ნებართვის გარეშე წიგნის არც ერთი ნაწილი არ შეიძლება გადაიბეჭდოს ნებისმიერი, მათ შორის, ელექტრონული ან მექანიკური ფორმით. გამოცემაში გამოთქმული მოსაზრებები ეკუთვნის ავტორს/ებს და შეიძლება არ ასახავდეს ფონდის თვალსაზრისს.

საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიეთობების კვლევის ფონდი
შ. ჩიტაძის ქუჩა #3ა
თბილისი საქართველო

RONDELI FOUNDATION

GEORGIAN FOUNDATION FOR
STRATEGIC AND INTERNATIONAL STUDIES

ახალგაზრდების ლიდერებულებები და პოლიტიკური აქტივიზმი საქართველოში

ახალგაზრდების ღირებულებები და პოლიტიკური აქტივიზმი საქართველოში
თბილისი 2021

გამომცემლები
საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო
ურთიერთობების კვლევის ფონდი
შ. ჩიტაძის ქუჩა #3ა
https://GFSIS.org
თბილისი, საქართველო

ინფორმაცია გამომცემელთათვის
ეკატერინე მეტრეველი (GFSIS), ქეთევან ემუხვარი (GFSIS)

ავტორები
თამარ ხოშტარია (CRRC)
ნინო ზუბაშვილი (CRRC)
ეკატერინე მეტრეველი (GFSIS)
ქეთევან ემუხვარი (GFSIS)

ტექსტის კორექტირება
თამარ გოგია

დიზაინი
ნატო ნოზაძე

ბეჭდვა
ფაუნტეინ ჯორჯია

ტირაჟი
200

ISBN

GEORGIAN FOUNDATION FOR
STRATEGIC AND INTERNATIONAL STUDIES

შინაარსი

დიაგრამები **4**

1. შესავალი **5**

2. მეთოდოლოგია **6**

3. კვლევის შედეგები/მიგნებები **7**

3.1. რაოდენობრივი კომპონენტი 8

3.1.1. ახალგაზრდების პოლიტიკური აქტივიზმი და ღირებულებები 8

3.1.2. ქვეყანაში არსებული მდგომარეობის შეფასება ახალგაზრდების მიერ 12

3.1.3. რელიგიური ინსტიტუტების გავლენის და დაფინანსების შეფასება ახალგაზრდების მიერ 17

3.1.4. ქვეყნის საგარეო კურსის შეფასება ახალგაზრდების მიერ 18

3.1.5. ოკუპირებულ ტერიტორიებთან დაკავშირებული საკითხების აღქმა და შეფასება ახალგაზრდების მიერ 22

3.2. თვისებრივი კომპონენტი 23

3.2.1. საქართველოში არსებული ვითარების შეფასება 23

3.2.2. საქართველოსთვის მნიშვნელოვანი და ნაკლებად მნიშვნელოვანი ღირებულებები 28

3.2.3. საქართველოს მსგავსება და განსხვავება ევროპასთან, და სხვა ქვეყნებთან, იდენტობის საკითხები 30

3.2.4. სამხრეთ კავკასიის რეგიონის აღქმა 33

3.2.5. ახალგაზრდების პრობლემები, პოლიტიკური აქტივიზმი და პოლიტიკური იდეოლოგიების აღქმა 34

3.2.6. ოკუპირებული რეგიონების კონფლიქტის დარეგულირება და საგარეო პოლიტიკის შეფასება 38

4. დასკვნები (რაოდენობრივი და თვისებრივი კომპონენტების შეჯამება) **40**

დანართი 1: ცხრილები დასახლების ტიპის და სქესის მიხედვით 46

დანართი 2: ფოკუს ჯგუფების მონაწილეთა მახასიათებლები 57

დიაგრამები

დიაგრამა 1. ახალგაზრდების ჩართულობა ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებში	7
დიაგრამა 2. რატომ არ არიან ახალგაზრდები ჩართული ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებში	8
დიაგრამა 3. რა შემთხვევაში გადიან საქართველოში ახალგაზრდები აქციებზე	9
დიაგრამა 4. ახალგაზრდებისთვის ყველაზე ღირებული საკითხები	10
დიაგრამა 5. საქართველოში არსებული მთავარი პრობლემები	11
დიაგრამა 6. სფეროები, რომელთა განვითარებასაც ხელისუფლებამ ხელი უნდა შეუწყოს	13
დიაგრამა 7. რამდენად არის დაცული ადამიანის უფლებები საქართველოში	14
დიაგრამა 8. „ქურდული სამყაროს" პოპულარობა 2012 წლამდე პერიოდთან შედარებით	15
დიაგრამა 9. მართლმადიდებლური ეკლესიის გავლენა საქართველოს მოსახლეობაზე	16
დიაგრამა 10. მართლმადიდებლური ეკლესიის დაფინანსება სახელმწიფო ბიუჯეტიდან	17
დიაგრამა 11. საქართველოს ინტეგრაცია ევროკავშირში	18
დიაგრამა 12. საქართველოს საგარეო პოლიტიკის კურსი	19
დიაგრამა 13. საქართველოს პოლიტიკა რუსეთთან მიმართებით	20
დიაგრამა 14. საქართველოს პოლიტიკა ოკუპირებული ტერიტორიების დასაბრუნებლად	21

1. შესავალი

„2020-2030 წლებისთვის საქართველოს ახალგაზრდული პოლიტიკის კონცეფცია"[1], რომელიც „საქართველოს სახელმწიფო ახალგაზრდული პოლიტიკის დოკუმენტს"[2] ეფუძნება, ცნობს ახალგაზრდებს, როგორც მნიშვნელოვან ძალას ქვეყნის მდგრადი, დემოკრატიული და სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისთვის. „ახალგაზრდული პოლიტიკის კონცეფცია" ახალგაზრდების პოტენციალის სრულად რეალიზებისთვის აუცილებლად მიიჩნევს, სახელმწიფომ უპასუხოს ახალგაზრდების წინაშე არსებულ გამოწვევებს და შეუქმნას მათ პირობები საკუთარი პოტენციალის სრულად რეალიზებისა და საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში აქტიური მონაწილეობისთვის. დოკუმენტის მიხედვით, მიღწეული პროგრესის მიუხედავად, ახალგაზრდები დღეს კვლავ დგანან არაერთი გამოწვევის წინაშე, რაც განათლებას, დასაქმებას, რესურსებზე ხელმისაწვდომობას, საზოგადოებრივ თუ პოლიტიკურ პროცესებში მათ ჩართულობას და სხვა საკითხებს უკავშირდება. ამ კონტექსტის გათვალისწინებით, მნიშვნელოვანია საზოგადოებრივი ცხოვრებისა თუ ქვეყნის განვითარების საკითხების მიმართ ახალგაზრდების დამოკიდებულებებისა და მათი გამოცდილებების უკეთ გაგება.

საქართველოში ახალგაზრდების ღირებულებებისა და მათი პოლიტიკური მონაწილეობის კვლევა „საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ფონდის" (GFSIS) ინიციატივით „CRRC-საქართველომ" რაოდენობრივი და თვისებრივი კვლევის მეთოდების გამოყენებით ჩაატარა. კვლევა მიზნად ისახავს პოლიტიკურ ცხოვრებაში ახალგაზრდების მონაწილეობის, მათი აღქმებისა და დამოკიდებულებების შესწავლას შემდეგი საკითხების მიმართ:

- ✔ პოლიტიკური მონაწილეობა და აქტივიზმი;
- ✔ ქვეყანაში არსებული მდგომარეობა;
- ✔ რელიგიური ინსტიტუტები;
- ✔ ქვეყნის საგარეო კურსი;
- ✔ კონფლიქტურ/ოკუპირებულ რეგიონებთან დაკავშირებული საკითხები;
- ✔ ქართულ საზოგადოებაში არსებული ღირებულებები;
- ✔ საქართველოს მსგავსებები და განსხვავებები ევროპასთან და სხვა ქვეყნებთან;
- ✔ სამხრეთ კავკასიის რეგიონი;
- ✔ პოლიტიკური იდეოლოგიები;
- ✔ იდენტობა.

კვლევა 2021 წლის ივლისსა და აგვისტოში ჩატარდა. რაოდენობრივი გამოკითხვა საქართველოს ზრდასრული ახალგაზრდა (18-29 წლის) მოსახლეობის წარმომადგენლობითია, აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ოკუპირებული ტერიტორიების გამოკლებით. საერთო ჯამში 1500-ზე მეტი რესპონდენტი გამოიკითხა. ცდომილების საშუალო ზღვარი 1.5 პროცენტია. კვლევის თვისებრივი კომპონენტი მოიცავდა 17 ფოკუს ჯგუფს, რომელიც სხვადასხვა ქალაქსა და/ან დასახლებულ პუნქტში მცხოვრებ ახალგაზრდებთან ჩატარდა.

მოცემული ანგარიში წარმოადგენს შეგროვებული რაოდენობრივი და თვისებრივი მონაცემების ანალიზის შედეგებს. ანგარიშის მომდევნო თავში აღწერილია კვლევის მეთოდოლოგია. მას მოსდევს კვლევის მიგნებები, რაც რაოდენობრივ და თვისებრივ ნაწილებადაა დაყოფილი. ანგარიში სრულდება კვლევის ძირითადი მიგნებების შეჯამებით.

---

1. საქართველოს პარლამენტი. (2020). „2020–2030 წლებისთვის საქართველოს ახალგაზრდული პოლიტიკის კონცეფციის" დამტკიცების შესახებ, ხელმისაწვდომია https://matsne.gov.ge/ka/document/view/4936402?publication=0
2. საქართველოს მთავრობა (2014). „საქართველოს სახელმწიფო ახალგაზრდული პოლიტიკის დოკუმენტის" დამტკიცების შესახებ, ხელმისაწვდომია https://matsne.gov.ge/ka/document/view/2314717?publication=0

2. მეთოდოლოგია

ზემოთ აღწერილი საკითხების შესასწავლად „CRRC-საქართველომ" კვლევა რაოდენობრივი და თვისებრივი მეთოდების გამოყენებით ჩაატარა. რაოდენობრივი კვლევა სატელეფონო გამოკითხვის მეთოდის გამოყენებით 2021 წლის 23 ივლისი - 18 აგვისტოს პერიოდში ჩატარდა. გამოყენებულ იქნა მარტივი შემთხვევითი შერჩევა, შემთხვევითი ნომრის აკრეფის მეთოდით. სატელეფონო ინტერვიუები ქართულ, სომხურ, აზერბაიჯანულ და რუსულ ენებზე ჩატარდა.

რაოდენობრივი კომპონენტის ფარგლებში სულ 1539 რესპონდენტი გამოიკითხა. მონაცემები წარმომადგენლობითია 18-დან 29 წლის ჩათვლით საქართველოში მცხოვრები ახალგაზრდების, გარდა იმ ახალგაზრდებისა, რომლებიც სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის ოკუპირებულ ტერიტორიებზე ცხოვრობენ. გამოკითხვა, ასევე, დედაქალაქის, სხვა ქალაქებისა და სოფლების 18-დან 29 წლის ჩათვლით ასაკის მოსახლეობის წარმომადგენლობითია. კვლევის საშუალო ცდომილება 1.5%-ია. ანგარიშში წარმოდგენილი მონაცემები შეწონილია და გაანალიზებულია დასახლების ტიპისა (დედაქალაქი, ქალაქი, სოფელი) და სქესის მიხედვით. ის სიხშირეები და კროსტაბულაციები (ჯვარედინი ცხრილები), რომლებიც ძირითად ტექსტში ვერ მოხვდა, წარმოდგენილია პირველ დანართში.

კვლევის თვისებრივი კომპონენტი 17 ფოკუს ჯგუფისგან შედგებოდა, რომლებიც 2021 წლის 9-20 აგვისტოს ჩატარდა. ფოკუს ჯგუფებში მონაწილეები საქართველოს სხვადასხვა ლოკაციიდან იყვნენ:

1. თბილისი;
2. თელავი (ქალაქი);
3. კახეთი (სოფლის ტიპის დასახლებები);
4. შიდა ქართლი (სოფლის ტიპის დასახლებები);
5. ქვემო ქართლი (ეთნიკურად აზერბაიჯანელი ახალგაზრდები ქალაქის ტიპის დასახლებებიდან);
6. ქვემო ქართლი (ეთნიკურად აზერბაიჯანელი ახალგაზრდები სოფლის ტიპის დასახლებებიდან);
7. ქუთაისი (ქალაქი);
8. იმერეთი (სოფლის ტიპის დასახლებები);
9. სამცხე-ჯავახეთი (ეთნიკურად სომეხი ახალგაზრდები ქალაქის ტიპის დასახლებებიდან);
10. სამცხე-ჯავახეთი (ეთნიკურად სომეხი ახალგაზრდები სოფლის ტიპის დასახლებებიდან);
11. სამცხე-ჯავახეთი (ეთნიკურად ქართველი ახალგაზრდები ქალაქის ტიპის დასახლებებიდან);
12. ბათუმი (ქალაქი);
13. აჭარა (სოფლის ტიპის დასახლებები);
14. ზუგდიდი (ქალაქი);
15. სამეგრელო (სოფლის ტიპის დასახლებები);
16. სვანეთი (სოფლის ტიპის დასახლებები);
17. რაჭა (სოფლის ტიპის დასახლებები).

ფოკუს ჯგუფები „ზუმის" ვიდეო კონფერენციის სისტემის გამოყენებით ჩატარდა. თითო ფოკუს ჯგუფი დაახლოებით საათ-ნახევარი გაგრძელდა. ჩაწერილი ფოკუს ჯგუფები გაიშიფრა და მომზადდა ტრანსკრიპტები, რის შემდეგაც თვისებრივი მონაცემები გაანალიზდა. ფოკუს ჯგუფში მონაწილეთა შესახებ ინფორმაცია მეორე დანართშია მოცემული.

3. კვლევის შედეგები/ მიგნებები

3.1. რაოდენობრივი კომპონენტი

3.1.1. ახალგაზრდების პოლიტიკური აქტივიზმი და ღირებულებები

რაოდენობრივი გამოკითხვის შედეგებმა აჩვენა, რომ 18-დან 29 წლის ჩათვლით ახალგაზრდების აზრით, მათი თანატოლები სავსებით (10%) ან ნაწილობრივ (57%) მაინც არიან ჩართულნი ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ მოვლენებში. ამასთან, ახალგაზრდების შედარებით მცირე ნაწილი ფიქრობს, რომ მათი თანატოლები საერთოდ (6%) ან დიდად არ არიან ჩართულნი (22%) ასეთ მოვლენებში.

რაც შეეხება განსხვავებებს სქესისა და დასახლების ტიპის მიხედვით, ახალგაზრდა მამაკაცებთან შედარებით, უფრო მეტი ახალგაზრდა ქალი აფიქსირებს აზრს, რომ მისი თანატოლები ჩართულნი არიან ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ მოვლენებში.

დიაგრამა 1. ახალგაზრდების ჩართულობა ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებში.



იმ ახალგაზრდებმა, რომლებმაც თქვეს, რომ მათი თანატოლები დიდად ან საერთოდ არ არიან ჩართულნი ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ მოვლენებში (ჯამში 28%), თავიანთი მოსაზრება რამდენიმე მიზეზით ახსნეს: 41%-მა აღნიშნა, რომ ახალგაზრდებს პოლიტიკა არ აინტერესებთ, ხოლო 29%-მა თქვა, რომ ახალგაზრდებს სხვა პრობლემები ადარდებთ (მაგ. სწავლა, სამსახური და ა.შ.). ამ უკანასკნელ მოსაზრებას განსაკუთრებით დედაქალაქის გარეთ, სხვა ქალაქებსა და სოფლის ტიპის დასახლებებში, იზიარებდნენ (ცხრილი 2).

22%-ის აზრით, ახალგაზრდებს ქვეყანაში მდგომარეობის გაუმჯობესების იმედი არ აქვთ. ასევე 22% თვლის, რომ პოლიტიკური პარტიების კამპანიები არ არის მიმართული ახალგაზრდების დაინტერესებისკენ. ეს მოსაზრება ქალაქის ტიპის დასახლებასთან შედარებით (13%), უფრო ხშირად დედაქალაქში (28%) და სოფლის ტიპის დასახლებებში (23%) დასახელდა.

16% თვლის, რომ ქვეყანაში არც ახალგაზრდა პოლიტიკოსები არიან, არც ახალგაზრდებისგან შემდგარი პოლიტიკური პარტიებია და ამით ხსნის ახალგაზრდების პასიურობას პოლიტიკურ

პროცესებში. ამ მოსაზრებას ყველაზე მეტად დედაქალაქში მცხოვრები ახალგაზრდები იზიარებენ (იხ. ცხრილი 2).

იმ ახალგაზრდებმა, რომლებმაც თქვეს, რომ მათი თანატოლები დიდად ან საერთოდ არ არიან ჩართულნი ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ მოვლენებში, ზემოთ ხსენებული მიზეზების გარდა, ასევე აღნიშნეს, რომ ახალგაზრდებს არცერთი პარტია არ მოსწონთ (15%). ასევე, 15%-მა თქვა, რომ ახალგაზრდებში პოლიტიკა ნეგატიურად აღიქმება (მაგ. „პოლიტიკა ბინძური საქმეა", „იქ მხოლოდ სხვა სფეროში შეუმდგარი ხალხი იყრის თავს", „პოლიტიკა ნორმალური ადამიანისთვის შეუფერებელია" და ა.შ.). ეს საკითხი განსაკუთრებით აქტუალურია დედაქალაქში, სადაც ახალ-გაზრდების თითქმის ერთმა მეოთხედმა დაასახელა ეს მიზეზი. და ბოლოს, ახალგაზრდების 3% თანატოლების პოლიტიკურ ცხოვრებაში პასიურობას პანდემიით ხსნის (იხ. დიაგრამა 2).

დიაგრამა 2. რატომ არ არიან ახალგაზრდები ჩართული ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებში.



საქართველოში ახალგაზრდები თვლიან, რომ მათი თანატოლები საკუთარ აზრს აქციებზე გასვლით რამდენიმე შემთხვევაში აფიქსირებენ: ადამიანის უფლებების ან თავისუფლების შეზღუდვის შემთხვევაში (46%), რუსულ ოკუპაციასთან დაკავშირებული საკითხების შემთხვევაში (35%) და პრორუსული ქმედებების შემთხვევაში (მაგ. გავრილოვის ჩამოყვანა) (28%). ეს სამივე პასუხი

დედაქალაქში მცხოვრებმა ახალგაზრდებმა უფრო ხშირად დაასახელეს, ვიდრე სოფლის ტიპის დასახლებაში მცხოვრებმა ახალგაზრდებმა. ამასთან, ადამიანების უფლებები და თავისუფლების შეზღუდვა ახალგაზრდა ქალებმა უფრო ხშირად ახსენეს (52%), ვიდრე ახალგაზრდა კაცებმა (40%) (იხ. ცხრილი 3).

გარდა ზემოთ ნახსენები შემთხვევებისა, ახალგაზრდების შედარებით მცირე ნაწილმა აღნიშნა, რომ მათი თანატოლები საკუთარ აზრს აქციებზე გასვლით გამოხატავენ მძიმე სოციალური ან ეკონომიკური პრობლემების (16%), არჩევნების გაყალბების (14%) და ეკოლოგიური პრობლემების ან გარემოს დაბინძურების (12%) შემთხვევაში. ამ საკითხში განსხვავებები სქესის ან დასახლების ტიპის მიხედვით არ დაფიქსირებულა (იხ. ცხრილი 3). ამასთან, 18%-მა აღნიშნა, რომ ახალგაზრდები ყველა შემთხვევაში გადიან აქციაზე (იხ. დიაგრამა 3).

დიაგრამა 3. რა შემთხვევაში გადიან საქართველოში ახალგაზრდები აქციებზე.



როდესაც ახალგაზრდებს არა თანატოლების, არამედ საკუთარ პოლიტიკურ აქტივობაზე ჰკითხეს, მათი დიდი ნაწილი პოლიტიკურად აქტიური მხოლოდ არჩევნების დროს აღმოჩნდა: 67%-მა განაცხადა, რომ მონაწილეობა მიიღო 2020-ის საპარლამენტო არჩევნებში; 29%-ს მონაწილეობა არ მიუღია; ხოლო 4% ამბობს, რომ არჩევნების პერიოდისთვის ჯერ არ იყო 18 წლის. აღსანიშნავია, რომ დედაქალაქთან შედარებით (60%), სხვა ქალაქებსა (69%) და სოფლის ტიპის დასახლებებში (71%) უფრო მეტმა ახალგაზრდამ თქვა, რომ მონაწილეობა მიიღო 2020 წლის არჩევნებში (იხ. ცხრილი 5).

არჩევნებში მონაწილეობის გარდა, რესპონდენტებს ჰკითხეს სხვა პოლიტიკურ ან სამოქალაქო პროცესებში ჩართულობის შესახებ. შედეგებმა აჩვენა, რომ ახალგაზრდების მხოლოდ ძალიან მცირე ნაწილი არის სამოქალაქო აქტივისტი (მაგ. რეგიონის პრობლემების გადაწყვეტაში მონაწილეობს) (9%), ახალგაზრდული მოძრაობის წევრი (3%), ან პოლიტიკური პარტიის წევრი (3%), ახალგაზრდული, პოლიტიკური კლუბის წევრი უმაღლეს სასწავლებელში (2%), ან ჩართული პოლიტიკურ ან სამოქალაქო პროცესებში სხვა ფორმით (5%). სქესის და დასახლების პუნქტის მიხედვით აქ მნიშვნელოვანი განსხვავებები არ დაფიქსირებულა (იხ. ცხრილი 4).

კითხვაზე, არის თუ არა ამჟამად საქართველოში პოლიტიკური პარტია, რომელიც ახლოს დგას მათ შეხედულებებთან, ახალგაზრდების 64%-მა უარყოფითად უპასუხა; 29%-მა აღნიშნა, რომ არსებობს ასეთი პარტია; ხოლო 5%-მა თქვა, რომ არსებობს პარტია, რომელიც ნაწილობრივ არის ახლოს მის შეხედულებებთან. კაცებთან (59%) შედარებით, ახალგაზრდა ქალების (69%) უფრო დიდმა ნაწილმა თქვა, რომ საქართველოში ამჟამად არცერთი პარტია არ დგას მის შეხედულებებთან ახლოს (იხ. ცხრილი 6).

რაოდენობრივი გამოკითხვისას ახალგაზრდებს ასევე ჰკითხეს, თუ რა იყო მათთვის ყველაზე ღირებული. ყველაზე ხშირად დასახელდა ქვეყნის უსაფრთხოება (47%), ადამიანის უფლებები (40%), პირადი უსაფრთხოება (30%) და ეკონომიკური კეთილდღეობა (25%). შედარებით ნაკლებმა ახალგაზრდამ დაასახელა რელიგიური მრწამსი (16%), ქვეყნის დეოკუპაცია (14%), კანონის უზენაესობა (13%), თანასწორობა (9%) და გარემოს დაცვა (5%). ახალგაზრდების 19%-მა აღნიშნა, რომ ჩამოთვლილთაგან, ყველაფერი ღირებულია (იხ. დიაგრამა 4).

დიაგრამა 4. ახალგაზრდებისთვის ყველაზე ღირებული საკითხები.



განსხვავებები დაფიქსირდა ახალგაზრდების სქესის და დასახლების ტიპის მიხედვით. თუკი ქვეყნის უსაფრთხოება და ეკონომიკური კეთილდღეობა ორივე სქესის წარმომადგენელთათვის დაახლოებით თანაბრად ღირებულია, ახალგაზრდა მამაკაცებთან შედარებით, ახალგაზრდა ქალების უფრო დიდი ნაწილისთვის აღმოჩნდა ღირებული ადამიანის უფლებები (46%, 34%-თან შედარებით) და პირადი უსაფრთხოება (35%, 25%-თან შედარებით). რაც შეეხება დასახლების ტიპის მიხედვით განსხვავებებს, დედაქალაქთან შედარებით, სოფლის ტიპის დასახლებებში უფრო ხშირად დაასახელეს ქვეყნის უსაფრთხოება (51%, 41%-თან შედარებით). ამავე დროს ეკონომიკური კეთილდღეობა და კანონის უზენაესობა, სოფლის მოსახლეობასთან შედარებით, დედაქალაქში მცხოვრებ ახალგაზრდებს უფრო ღირებულად მიაჩნიათ (იხ. ცხრილი 7).

3.1.2. ქვეყანაში არსებული მდგომარეობის შეფასება ახალგაზრდების მიერ

რაოდენობრივი გამოკითხვისას ახალგაზრდებმა უპასუხეს რამდენიმე შეკითხვას, რომელიც საქართველოში არსებულ ვითარებას ეხებოდა და დაასახელეს საქართველოში არსებული პრობლემები. ყველაზე ხშირად ახალგაზრდებმა ეკონომიკური და/ან სოციალური საკითხები (46%) დაასახელეს. მას მოჰყვა განათლება (28%), სამხრეთ ოსეთის/ცხინვალის რეგიონის და აფხაზეთის ტერიტორიები/ოკუპაცია (26%) და ჯანდაცვა (კოვიდის ჩათვლით) (24%). შედარებით მცირე პროცენტმა დაასახელა ადამიანის უფლებები და დემოკრატია (17%), ტერიტორიული მთლიანობის უფრო მეტად დარღვევის საფრთხე (17%), დანაშაული და კრიმინალი (16%), ქვეყნის შიდა სიტუაციის დესტაბილიზაცია (14%) და ადამიანის პიროვნული განვითარების შესაძლებლობების არარსებობა (12%) (დიაგრამა 5).

დიაგრამა 5. საქართველოში არსებული მთავარი პრობლემები.



მცირე განსხვავებები შეინიშნებოდა სქესის და დასახლების ტიპის მიხედვით: მაგალითად, კაცებთან შედარებით (19%), უფრო მეტი ახალგაზრდა ქალი (29%) მიიჩნევს, რომ ჯანდაცვა (კოვიდის ჩათვლით) ქვეყნის უმთავრესი პრობლემაა. რაც შეეხება დასახლების ტიპის მიხედვით განსხვავებებს, ერთი მხრივ, დედაქალაქთან შედარებით (42%), სოფლის ტიპის დასახლებაში უფრო მეტი ახალგაზრდა (51%) მიიჩნევს, რომ ეკონომიკური და/ან სოციალური საკითხები საქართველოს მთავარი პრობლემაა. მეორე მხრივ, სოფლის ტიპის დასახლებასთან შედარებით (22%), თბილისში უფრო მეტი ახალგაზრდა ასახელებს სამხრეთ ოსეთის/ცხინვალის რეგიონის და აფხაზეთის ტერიტორიების/ოკუპაციის პრობლემას (30%) (იხ. ცხრილი 8).

ახალგაზრდებმა ასევე დაასახელეს სფეროები, რომელთა განვითარებასაც, მათი აზრით, ხელისუფლებამ უნდა შეუწყოს ხელი. ყველაზე ხშირად დასახელდა განათლება (48%), სოფლის მეურნეობა (33%) და სამედიცინო სფერო/ჯანდაცვა (25%). ერთი მხრივ, კაცებთან შედარებით, უფრო მეტმა ახალგაზრდა ქალმა დაასახელა განათლება (52%-მა, 43%-თან შედარებით) და სამედიცინო სფერო/ჯანდაცვა (32%-მა, 18%-თან შედარებით). მეორე მხრივ, ქალებთან შედარებით (30%), ახალგაზრდა კაცების უფრო დიდმა პროცენტმა (37%) ახსენა სოფლის მეურნეობის სფერო. განსხვავებები აღინიშნა დასახლების ტიპის მიხედვითაც: ერთი მხრივ, სოფელთან შედარებით (42%), ქალაქებსა (49%) და დედაქალაქში (53%) უფრო მეტი ახალგაზრდა ფიქრობს, რომ ხელისუფლებამ, პირველ რიგში, განათლების განვითარებას უნდა შეუწყოს ხელი. მეორე მხრივ, სოფლის მეურნეობის განვითარების საკითხი, ბუნებრივია, სოფელში მცხოვრებ ახალგაზრდებს უფრო აღელვებთ (42%, ქალაქის 26%-თან და დედაქალაქის 29%-თან შედარებით) (ცხრილი 9).

ზემოთ ნახსენები საკითხების გარდა, ახალგაზრდებმა ასევე აღნიშნეს, რომ ხელისუფლებამ ხელი უნდა შეუწყოს ტურიზმის (9%), სოციალური დაცვის (9%), თავდაცვის (8%) და სხვა სფეროების განვითარებას (დიაგრამა 6).

დიაგრამა 6. სფეროები, რომელთა განვითარებასაც ხელისუფლებამ ხელი უნდა შეუწყოს.

განათლება რომ მნიშვნელოვანი საკითხია ახალგაზრდებისთვის, ეს სხვა კითხვიდანაც გამოჩნდა, რომელშიც მათ საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებში განათლების დონე უნდა შეეფასებინათ. ახალგაზრდების ერთი მესამედი (33%) თვლის, რომ განათლების დონე არ არის დამაკმაყოფილებელი, ხოლო დამატებითი 8% ამბობს, რომ განათლების დონე საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებში საერთოდ არ არის დამაკმაყოფილებელი. განათლების დონით განსაკუთრებით უკმაყოფილო არიან დედაქალაქში მცხოვრები ახალგაზრდები (55%) (ცხრილი 13).

რაოდენობრივი გამოკითხვისას ახალგაზრდებს ასევე ჰკითხეს, თუ რამდენად არის ადამიანის უფლებები დაცული საქართველოში. ახალგაზრდების დიდი ნაწილი (64%) ფიქრობს, რომ ადამიანის უფლებები ნაწილობრივ დაცულია, მხოლოდ 8% ფიქრობს, რომ დიდწილად დაცულია, ხოლო ერთ მეოთხედზე მეტი (27%) მიიჩნევს, რომ არ არის დაცული. ახალგაზრდა ქალების და მამაკაცების პასუხებს შორის მნიშვნელოვანი განსხვავებები არ დაფიქსირებულა, თუმცა, სოფლის მოსახლეობასთან შედარებით (21%), ქალაქსა (31%) და დედაქალაქში (32%) უფრო მეტი ახალგაზრდაა, ვინც ფიქრობს, რომ ადამიანის უფლებები საქართველოში არ არის დაცული (დიაგრამა 7).

დიაგრამა 7. რამდენად არის დაცული ადამიანის უფლებები საქართველოში.



გამოკითხვისას ახალგაზრდებს ასევე ჰკითხეს „ქურდული სამყაროსა" და მისი პოპულარობის შესახებ. ახალგაზრდების აზრი ორად გაიყო, როდესაც მათ „ქურდული სამყაროს" („კანონიერი ქურდების" ინსტიტუტის) პოპულარობა 2012 წლამდე პერიოდთან უნდა შეედარებინათ. ახალგაზრდების ერთმა მესამედმა (33%) თქვა, რომ „ქურდული სამყარო" 2012 წლამდე პერიოდთან შედარებით ნაკლებად პოპულარულია, ხოლო ასევე ერთმა მესამედმა (32%) აღნიშნა, რომ უფრო პოპულარულია. ამასთან, ახალგაზრდების 17% დიდ განსხვავებას ვერ ხედავს და ამბობს, რომ „ქურდული სამყარო" ახლა ისეთივე პოპულარულია, როგორც 2012 წლამდე იყო. უნდა აღინიშნოს, რომ დედაქალაქში (39%), სხვა ქალაქებთან (30%) და სოფლის ტიპის დასახლებასთან (29%) შედარებით, უფრო მეტი ახალგაზრდა ფიქრობს, რომ „ქურდული სამყარო" 2012 წლამდე პერიოდთან შედარებით ნაკლებად პოპულარულია (იხ. დიაგრამა 8).

დიაგრამა 8. „ქურდული სამყაროს" პოპულარობა 2012 წლამდე პერიოდთან შედარებით.



3.1.3. რელიგიური ინსტიტუტების გავლენის და დაფინანსების შეფასება ახალგაზრდების მიერ

რაოდენობრივი გამოკითხვის ფარგლებში ახალგაზრდებს ჰკითხეს საქართველოს მოსახლეობაზე მართლმადიდებლური ეკლესიის გავლენის შესახებ. გამოკითხვის შედეგებმა აჩვენა, რომ ახალგაზრდების 62%-ის აზრით, მართლმადიდებლურ ეკლესიას ძალიან დიდი (28%) ან დიდი (34%) გავლენა აქვს საქართველოს მოსახლეობაზე. დამატებით 27%-ს მიაჩნია, რომ ეს გავლენა საშუალო სიძლიერისაა. ახალგაზრდების მხოლოდ ძალიან მცირე პროცენტმა აღნიშნა, რომ ეს გავლენა მცირეა (4%) ან საერთოდ არ არსებობს (2%). მნიშვნელოვანი განსხვავებები დაფიქსირდა სქესის და დასახლების ტიპის მიხედვით დაჯგუფებულ მონაცემებში. ქალებთან (24%) შედარებით, ახალგაზრდა კაცების (32%) უფრო დიდი ნაწილი ფიქრობს, რომ მართლმადიდებლურ ეკლესიას ძალიან დიდი გავლენა აქვს საქართველოს მოსახლეობაზე. ასევე, სოფლის (22%) და სხვადასხვა ქალაქის (28%) ახალგაზრდა მოსახლეობასთან შედარებით, დედაქალაქში (35%) ყველაზე მეტად იზიარებენ ამ მოსაზრებას (დიაგრამა 9).

დიაგრამა 9. მართლმადიდებლური ეკლესიის გავლენა საქართველოს მოსახლეობაზე.



ახალგაზრდების აზრით, მართლმადიდებლური ეკლესიისგან განსხვავებით, ისლამის, როგორც რელიგიის, გავლენა საქართველოს მოსახლეობაზე საკმაოდ მცირეა. ახალგაზრდების უმრავლესობამ აღნიშნა, რომ ისლამს მცირე (38%) ან არანაირი გავლენა არ აქვს (19%). ამასთან, 23% ფიქრობს, რომ ისლამს საშუალო სიძლიერის გავლენა აქვს საქართველოს მოსახლეობაზე და მხოლოდ მცირე ნაწილი ფიქრობს, რომ ეს გავლენა დიდი (6%) ან ძალიან დიდია (2%). ასევე უნდა აღინიშნოს, რომ სოფლებთან (31%) და სხვა ქალაქებთან (37%) შედარებით, დედაქალაქში ყველაზე დიდი წილი (47%) ამბობს, რომ ისლამის გავლენა მცირეა (ცხრილი 15).

კითხვაზე, უნდა ფინანსდებოდეს თუ არა მართლმადიდებლური ეკლესია სახელმწიფო ბიუჯეტიდან, ახალგაზრდების 54% დადებითად პასუხობს. ამასთან, 7% აღნიშნავს, რომ უნდა ფინანსდებოდეს, მაგრამ ნაკლები თანხით; ხოლო ახალგაზრდების თითქმის ერთი მესამედი (32%) აღნიშნავს, რომ არ უნდა ფინანსდებოდეს. მნიშვნელოვნად განსხვავდება დედაქალაქსა და მის გარეთ მცხოვრები ახალგაზრდების მოსაზრებები ამ საკითხთან დაკავშირებით. თუკი დედაქალაქში ახალგაზრდების მხოლოდ 43% ეთანხმება მართლმადიდებლური ეკლესიის სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაფინანსებას, სხვა ქალაქებსა (58%) და სოფლის ტიპის დასახლებებში (60%) ახალგაზრდების უფრო მაღალი პროცენტი იზიარებს იგივე მოსაზრებას (დიაგრამა 10).

დიაგრამა 10. მართლმადიდებლური ეკლესიის დაფინანსება სახელმწიფო ბიუჯეტიდან.



მართლმადიდებლური ეკლესიისგან განსხვავებით, ახალგაზრდების ნახევარზე მეტი (54%) ფიქრობს, რომ სხვა რელიგიური ჯგუფები/ინსტიტუტები არ უნდა ფინანსდებოდეს სახელმწიფოს ბიუჯეტიდან. ამასთან, ახალგაზრდების 35% ფიქრობს, რომ უნდა ფინანსდებოდეს, 11%-ს კი გაუჭირდა კითხვაზე პასუხის გაცემა. მნიშვნელოვანი განსხვავებები დაფიქსირდა დასახლების ტიპის მიხედვით. თუკი სოფლის (46%) და ქალაქის (52%) ახალგაზრდების შედარებით ნაკლები წილი არ ეთანხმება არამართლმადიდებლური რელიგიური ჯგუფების და ინსტიტუტების სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაფინანსებას, ეს წილი დედაქალაქში გაცილებით უფრო მაღალია (63%) (იხ. ცხრილი 17).

3.1.4. ქვეყნის საგარეო კურსის შეფასება ახალგაზრდების მიერ

რაოდენობრივი გამოკითხვისას ახალგაზრდებს ჰკითხეს, თუ რომელ ქვეყანაში წავიდოდნენ ლეგალურად სამუშაოდ. ახალგაზრდების თითქმის მეოთხედმა (23%) ამერიკის შეერთებული შტატები დაასახელა, ხოლო ერთმა მეხუთედმა (20%) — გერმანია. ამას საფრანგეთი (6%) და იტალია (5%) მოჰყვა, ხოლო სხვა ქვეყნები ნაკლები სიხშირით დასახელდა (იხ. ცხრილი 12).

დასავლეთთან და ევროკავშირთან ინტეგრაცია მნიშვნელოვანია ახალგაზრდების უმრავლესობისთვის საქართველოში. ახალგაზრდების ზუსტად ნახევარი საქართველოს ინტეგრაციას ევროკავშირში ძალიან მნიშვნელოვნად მიიჩნევს, ხოლო ერთი მესამედი ამბობს, რომ ეს საკმაოდ მნიშვნელოვანია. ინტეგრაცია არც ისე მნიშვნელოვანია (11%) ან საერთოდ არ არის მნიშვნელოვანი (4%) ახალგაზრდების მხოლოდ მცირე ნაწილისთვის. მცირე განსხვავებები შეინიშნება დასახლების ტიპის მიხედვით. თბილისში ახალგაზრდების 55% ევროკავშირში ინტეგრაციას აფასებს, როგორც „ძალიან მნიშვნელოვანს“, მაშინ როდესაც ეს მაჩვენებელი სოფლად მცხოვრებ ახალგაზრდებში 44%-ია (დიაგრამა 11).

დიაგრამა 11. საქართველოს ინტეგრაცია ევროკავშირში.



ევროკავშირის მსგავსად, საქართველოში მცხოვრები ახალგაზრდების ნახევარი (51%) თვლის, რომ ქვეყნის ინტეგრაცია ნატოში ძალიან მნიშვნელოვანია, მესამედი (30%) კი - რომ საკმაოდ მნიშვნელოვანია.ევროკავშირშიინტეგრაციისანალოგიურად,სოფლისდასახლებასთანშედარებით (45%), დედაქალაქში მცხოვრები ახალგაზრდების უფრო დიდი წილი (56%) ძალიან მნიშვნელოვნად თვლის ინტეგრაციას. როგორც ევროკავშირის, ისე ნატო-ს შემთხვევაში, ახალგაზრდა ქალების მხრიდან მხარდაჭერა ოდნავ უფრო მაღალია, ვიდრე ახალგაზრდა მამაკაცებისგან (იხ. ცხრილი 19). ერთი მხრივ, საქართველოში მცხოვრები ახალგაზრდების დიდი ნაწილი (44%) მიიჩნევს, რომ საქართველოს საგარეო პოლიტიკური კურსი სწორედ დასავლეთისკენ არის მიმართული. თუმცა, მეორე მხრივ, თითქმის ერთი მესამედი (30%) ამბობს, რომ ეს კურსი უფრო რუსეთისკენ იხრება. კაცებთან შედარებით (41%), უფრო მეტი ახალგაზრდა ქალი (47%) თვლის, რომ საქართველოს საგარეო პოლიტიკის კურსი დასავლეთისკენაა მიმართული. განსხვავებები შეინიშნება დასახლების ტიპის მიხედვითაც: თბილისთან შედარებით (36%), სხვა ქალაქებსა (42%) და სოფლებში (53%) მცხოვრები ახალგაზრდების უფრო მეტი პროცენტი თვლის, რომ ამჟამად საქართველოს საგარეო პოლიტიკური კურსი დასავლეთის მიმართულებითაა მიმართული. შესაბამისად, მათი წილი, ვინც ფიქრობს, რომ ქვეყნის პოლიტიკა რუსეთისკენ არის მიმართული, დედაქალაქში თითქმის ორჯერ უფრო მეტია, ვიდრე სოფლის ტიპის დასახლებაში (დიაგრამა 12).

დიაგრამა 12. საქართველოს საგარეო პოლიტიკის კურსი.



ახალგაზრდების ნახევარზე მეტი მიიჩნევს, რომ საქართველოს პოლიტიკა რუსეთთან მიმართებით დღეს არის დამთმობი. ამ ახალგაზრდებიდან 20% ამბობს, რომ პოლიტიკა ძალიან დამთმობია; ხოლო 32% მიიჩნევს, რომ უფრო დამთმობია, ვიდრე მტკიცე. ამის გარდა, 28% ამბობს, რომ პოლიტიკა რუსეთთან მიმართებით ნეიტრალურია. სქესის მიხედვით ამ მხრივ განსხვავებები არ ფიქსირდება, თუმცა დასახლების ტიპის მიხედვით შემდეგი შედეგები გამოვლინდა: სოფლებსა (13%) და სხვა ქალაქებთან (21%) შედარებით, დედაქალაქში მცხოვრები ახალგაზრდების ყველაზე დიდი ნაწილი (27%) აღნიშნავს, რომ საქართველოს პოლიტიკა რუსეთთან მიმართებით ძალიან დამთმობია (დიაგრამა 13).

დიაგრამა 13. საქართველოს პოლიტიკა რუსეთთან მიმართებით.



აღსანიშნავია, რომ საქართველოში მცხოვრები ახალგაზრდების საკმაოდ დიდი ნაწილისთვის მიუღებელია საქართველოს დღევანდელი პოლიტიკა რუსეთთან მიმართებით: მათი ერთი მესამედი (33%) აღნიშნავს, რომ ეს პოლიტიკა საერთოდ მიუღებელია; ხოლო 35% ამბობს, რომ უფრო მიუღებელია, ვიდრე მისაღები. ახალგაზრდა ქალების 72% ამ ორი პასუხიდან ერთ-ერთს ირჩევს, ხოლო მამაკაცების შემთხვევაში ეს მაჩვენებელი უფრო დაბალი - 63%-ია. განსხვავებები ჩანს დასახლების ტიპის მიხედვითაც: დედაქალაქშიც ახალგაზრდების 73% ამბობს, რომ მათთვის საქართველოს დღევანდელი პოლიტიკა რუსეთთან მიმართებით ან საერთოდ მიუღებელია, ან უფრო მიუღებელია, ვიდრე მისაღები. იგივე პასუხები ქალაქსა და სოფელში ახალგაზრდების შედარებით ნაკლებმა პროცენტმა (65% და 65%, შესაბამისად) დააფიქსირა (იხ. ცხრილი 22).

რაოდენობრივი კვლევის შედეგად ასევე გამოვლინდა, თუ ვის მიიჩნევენ ახალგაზრდები ქვეყნის მთავარ პოლიტიკურ პარტნიორად და მთავარ მტრად. შედეგებმა აჩვენა, რომ ახალგაზრდების 40%-ისთვის ამერიკის შეერთებული შტატები ქვეყნის მთავარი პოლიტიკური პარტნიორია. სხვა ქვეყნები შედარებით მცირე პროცენტმა დაასახელა: უკრაინა (4%), აზერბაიჯანი (4%), რუსეთი (3%), თურქეთი (3%), გერმანია (2%). ასევე, აღსანიშნავია, რომ ახალგაზრდების 13% არცერთ ქვეყანას არ მიიჩნევს საქართველოს პარტნიორად, ხოლო 24%-ს კითხვაზე პასუხის გაცემა გაუჭირდა (ცხრილი 23).

რაც შეეხება საქართველოს მთავარ მტერს, ახალგაზრდების 68%-მა რუსეთი დაასახელა, ხოლო ბევრად მცირე ნაწილმა - 4%-მა - თურქეთი. ასევე, ახალგაზრდების 10% არცერთ ქვეყანას საქართველოს მტრად არ მიიჩნევს, ხოლო 12%-მა პასუხი არ ან ვერ გასცა ამ კითხვას (ცხრილი 24).

3.1.5. ოკუპირებულ ტერიტორიებთან დაკავშირებული საკითხების აღქმა და შეფასება ახალგაზრდების მიერ

რაოდენობრივი გამოკითხვისას ახალგაზრდებმა უპასუხეს რამდენიმე კითხვას ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ. კვლევის შედეგები აჩვენებს, რომ ახალგაზრდების უმრავლესობისთვის საქართველოს დღევანდელი პოლიტიკა ოკუპირებული ტერიტორიების დასაბრუნებლად არც ისე ეფექტური (30%) ან საერთოდ არაეფექტურია (52%). ამ მხრივ ახალგაზრდა ქალების და კაცების პოზიციამსგავსია,თუმცაგანსხვავებებიდაფიქსირდადასახლებისტიპისმიხედვით.რაოდენობრივი შედეგები აჩვენებს, რომ სოფლად მცხოვრებ ახალგაზრდებთან (40%) და სხვა ქალაქებში მცხოვრებ ახალგაზრდებთან (53%) შედარებით, დედაქალაქში მცხოვრები ახალგაზრდების უფრო დიდი პროცენტი (64%) მიიჩნევს, რომ საქართველოს პოლიტიკა ოკუპირებული ტერიტორიების დასაბრუნებლად საერთოდ არ არის ეფექტური (დიაგრამა 14).

დიაგრამა 14. საქართველოს პოლიტიკა ოკუპირებული ტერიტორიების დასაბრუნებლად.



ახალგაზრდების უმრავლესობა ამბობს, რომ არასდროს (76%) ან იშვიათად (10%) აქვს ურთიერთობა ადამიან(ებ)თან, რომელიც/რომლებიც ამჟამად აფხაზეთში ან სამხრეთ ოსეთის/ცხინვალის რეგიონში ცხოვრობს/ცხოვრობენ (იგულისხმება როგორც პირისპირი, ისე ინტერნეტით ურთიერთობა) (ცხრილი 26).

ამასთან, ახალგაზრდები იშვიათად იღებენ ინფორმაციას აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში/ცხინვალის რეგიონში მიმდინარე პროცესების შესახებ. ახალგაზრდების დაახლოებით ერთი მეოთხედი ამბობს, რომ არასოდეს იღებს ინფორმაციას აფხაზეთსა (25%) და სამხრეთ ოსეთზე (27%). ასევე, ახალგაზრდების 45% და 47% (შესაბამისი თანმიმდევრობით), იშვიათად იღებს ინფორმაციას ამ ორი ოკუპირებული ტერიტორიის შესახებ, ხოლო 16% აცხადებს, რომ ზოგჯერ იღებს ინფორმაციას (იხ. ცხრილი 27 და 28).

იმ ახალგაზრდებმა, რომლებიც გარკვეულ ინფორმაციას მაინც იღებენ აფხაზეთსა ან სამხრეთ ოსეთის რეგიონში მიმდინარე პროცესების შესახებ, ინფორმაციის შემდეგი წყაროები დაასახელეს: სოციალური ქსელები (72%), ტელევიზია, ონლაინ გადაცემების გარდა (37%), აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში მყოფი ოჯახის წევრები, მეგობრები, ნათესავები, კოლეგები (12%), მედია საშუალებების ვებგვერდები (9%) და საქართველოს არაოკუპირებულ ტერიტორიაზე მყოფი ოჯახის წევრები, მეგობრები, ნათესავები და კოლეგები (8%). ამ თვალსაზრისით, სქესის მიხედვით განსხვავებები არ დაფიქსირებულა. რაც შეეხება განსხვავებებს დასახლების ტიპის მიხედვით, შეიძლება ითქვას, რომ დედაქალაქის გარეთ ახალგაზრდების უფრო დიდი ნაწილი (40% და 40% სოფლისა და ქალაქის ტიპის დასახლებებში, შესაბამისი თანმიმდევრობით, 31%-თან შედარებით) ინფორმაციას აფხაზეთსა ან სამხრეთ ოსეთის რეგიონში მიმდინარე პროცესების შესახებ ტელევიზიის საშუალებით იღებს (იხ. ცხრილი 29).

3.2. თვისებრივი კომპონენტი

3.2.1. საქართველოში არსებული ვითარების შეფასება

3.2.1.1. საქართველოში არსებული მდგომარეობის აღქმა

ფოკუს ჯგუფების მონაწილე ახალგაზრდები ქვეყანაში არსებულ ეკონომიკურ, სოციალურ და პოლიტიკურ ვითარებას, დიდწილად, უარყოფითად აფასებენ. დადებითად, ძირითადად, ქართველი ხალხი და ქართული კულტურა ფასდება.

დღევანდელ საქართველოში ახალგაზრდებს მოსწონთ ადამიანური ურთიერთობები, ხალხი, რომელიც ინარჩუნებს თბილ, ახლო ურთიერთობებს და ყოველთვის მხარში უდგას ერთმანეთს. დადებითად შეფასდა ისიც, რომ საქართველო ინარჩუნებს ტრადიციებსა და თვითმყოფადობას. მონაწილეები ყველაზე ხშირად ახსენებენ სტუმარ-მასპინძლობის ტრადიციას და საქართველოს ისეთ მახასიათებლებს, როგორიცაა ქართული ღვინო და სამზარეულო, ფოლკლორი, ხალხური ცეკვა და კულტურული ღირსშესანიშნაობები. ხშირად აღინიშნება საქართველოს კულტურული და სპორტული მიღწევები საერთაშორისო დონეზე, განსაკუთრებით კი - ქართველი სპორტსმენების წარმატებები ოლიმპიურ თამაშებზე. მონაწილეებს მოსწონთ და განვითარებისთვის მნიშვნელოვან პოტენციალად მიაჩნიათ საქართველოს ბუნება და გეოგრაფიული მდებარეობა, თუმცა უარყოფითად შეფასდა ის, რომ საქართველო ამ პოტენციალს თავისი ინტერესების შესაბამისად ვერ იყენებს. მიუხედავად დადებითი შეფასებების სიჭარბისა, ჟღერდება მოსაზრებები, რომ ქართველი ხალხი ხშირად მხოლოდ „წარსულში იყურება“ და კმაყოფილდება წარსული მიღწევებით, რაც კულტურულ განვითარებას აფერხებს.

> *მართლაც [ჩვენი კულტურა] ჩვენი ქვეყნის მთავარ პლიუსად შეიძლება ჩაითვალოს. ყველაზე მეტად რაც არ მომწონს არის ის, რომ დარჩენილი ვართ წარსულის განდიდებით... თუ წარსულში ჩვენი ქვეყანა რელიგიით, კულტურით იყო გამორჩეული, ჩვენ ამას ვიხსენებთ, მაგრამ თანამედროვეობაში დღეს არ გვაქვს (ქალი, 20, უმაღლესი განათლება/სტუდენტი, ეთნიკურად ქართველი, აჭარა).*

ეკონომიკური, სოციალური თუ პოლიტიკური საკითხების განხილვისას თითქმის ყველა მონაწილე თანხმდება იმაზე, რომ წინა წლებთან შედარებით, საქართველოში დღეს უკეთესი მდგომარეობაა. როგორც წესი, როდესაც წინა წლებთან შედარებაზე საუბრობენ, მონაწილეებს უჭირთ კონკრეტული პერიოდის დასახელება, თუმცა განსხვავებებზე საუბრისას მონაწილეთა ნაწილი გულისხმობს საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ პერიოდს, ნაწილი - 21-ე საუკუნეს, ან უბრალოდ „ბოლო წლებს“. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში დემოკრატიის წინაშე არსებული არაერთი გამოწვევა

დასახელდა - სიტყვის თავისუფლების გამოწვევები, პოლიციური სახელმწიფო, მოსმენები, სასამართლოს მიკერძოებულობა და სხვა - ახალგაზრდების აზრით, წინა წლებთან შედარებით, დღეს საქართველოში მაინც ცხოვრების, გადაადგილების, სიტყვის მეტი თავისუფლებაა. ახალგაზრდების აზრით, დადებითი მოვლენაა, რომ საზოგადოება, მათ შორის ახალგაზრდები, მეტად ერთვებიან საზოგადოებრივ ცხოვრებაში და მეტად აცნობიერებენ, რომ მთავრობა ანგარიშვალდებულია საზოგადოების წინაშე. რესპონდენტები ხშირად საუბრობენ საბჭოთა მემკვიდრეობაზეც, რასთან დაკავშირებითაც მოსაზრებები თითქმის თანაბრად იყოფა. მონაწილეთა ნაწილი მიიჩნევს, რომ ქართველმა ხალმა, განსაკუთრებით კი უფროსმა თაობამ საბჭოთა მენტალიტეტი ვერ დაძლია; ნაწილი კი მიიჩნევს, რომ შეინიშნება საბჭოთა მენტალიტეტის დაძლევის ტენდენცია, განსაკუთრებით ახალგაზრდებში.

დემოკრატიულ პროცესებს უკავშირდება, და ხშირად უარყოფითად ფასდება, საქართველოს დღევანდელი ფორმალური სეკულარიზმი, საპატრიარქოს დიდი გავლენა და მუდმივი ჩარევა სახელმწიფო საქმეებში.

> *ეს ამხელა გავლენა საპატრიარქოსი არ მომწონს ნამდვილად. ეს სეკულარულსაც ეწინააღმდეგება და დემოკრატიული სახელმწიფოს მშენებლობასაც (მამაკაცი, 21, უმაღლესი განათლება/სტუდენტი, ეთნიკურად ქართველი, ბათუმი).*

სოციალურ და ეკონომიკურ განვითარებასთან დაკავშირებით აზრთა სხვადასხვაობაა. თითქმის არავინ დავობს იმაზე, რომ ტურიზმი ვითარდება, თუმცა, როდესაც საქმე ზოგად განვითარებას ეხება, ახალგაზრდების ნაწილი მიიჩნევს, რომ წინა წლებთან შედარებით ქვეყანა ვითარდება, ნაწილისთვის კი ქვეყანა უფრო უკან მიდის, ვიდრე წინ. იგივე დამოკიდებულებაა განათლების სისტემის მიმართ. ახალგაზრდების ნაწილის აზრით, სისტემა უმჯობესდება; ნაწილის აზრით კი, განათლების სისტემა „ჩამოშლილია“ და ვერ ვითარდება, დაბალია როგორც განათლების დონე, ისე განათლებაზე, განსაკუთრებით უმაღლეს, პროფესიულ და არაფორმალურ განათლებაზე წვდომა. ისიც აღინიშნა, რომ ცვლილებების მიუხედავად, საქართველოში ჯერ კიდევ საბჭოთა განათლების სისტემა და მიდგომებია. მიუხედავად იმისა, რომ განათლების მნიშვნელობას ბევრი ხედავს და განათლებაზე მოთხოვნაც იზრდება, ხშირად ეს მხოლოდ ფასადურია და ქართული საზოგადოება დიპლომს უფრო აფასებს, ვიდრე განათლებას. ამას უკავშირდება საზოგადოებაში პროფესიული/ტექნიკური განათლების არაპრესტიჟულობაც.

> *განათლება, როგორც ვახსენე, როგორც ღირებულება, კარგია, რომ ამისკენ მივისწრაფვით, მაგრამ ცუდია ასევე იმიტომ, რომ მთავარია დიპლომი გქონდეს. უფრო მეტად ეს არის წახალისებული, რომ დიპლომი გქონდეს და არა ის, რომ ცოდნა და გამოცდილება დააგროვო. მაგალითად, პროფესიული სტუდენტი თუ ხარ, შეიძლება ნაკლებად წარმოსადეგი იყო უმაღლეს დამთავრებულთან შედარებით (ქალი, 25, უმაღლესი განათლება, ეთნიკურად ქართველი, ქუთაისი).*

იმაზე საუბრისას, თუ რა არ მოსწონთ დღევანდელ საქართველოში, ყველაზე ხშირად ახალგაზრდები მძიმე ეკონომიკური მდგომარეობაზე საუბრობენ - სიღარიბესა და უმუშევრობაზე, მაღალ ფასებსა და დაბალ ხელფასებზე, მიღებული განათლების შესაბამისი სამსახურის შოვნის პერსპექტივის ნაკლებობაზე. ახალგაზრდები ამას უკავშირებენ შრომით ემიგრაციასაც, მათ შორის ახალგაზრდების ემიგრაციის მაღალ მაჩვენებელსა და „ტვინების გადინებას“. მიუხედავად იმისა, რომ კორუფციის აღმოფხვრა ხშირად სახელდება, როგორც დღევანდელი საქართველოს დადებითი მახასიათებელი, უარყოფით მახასიათებლებში ხშირად სახელდება ელიტური კორუფცია და ნეპოტიზმის მაღალი დონე.

ნუ, ზოგადად, ჩემთვის და ჩემი თაობის წარმომადგენლებისთვის ყველაზე მტკივნეულია, რომ ქვეყანაში არ არის განვითარების პერსპექტივა... ქვეყანაში ჭარბობს ნეპოტიზმი... ჭკვიანი და განათლებული ახალგაზრდები გარბიან ქვეყნიდან, ტვინების გადინება ხდება ქვეყნიდან... (მამაკაცი, 23, უმაღლესი განათლება, ეთნიკურად ქართველი, ქუთაისი).

უარყოფით ასპექტებზე საუბრისას ძალიან ხშირად სახელდება, ასევე, არსებული პოლიტიკური ვითარება, მუდმივი დაპირისპირებები და დაძაბულობა როგორც პოლიტიკურ პარტიებს, ისე საზოგადოებას შორის; არეულობა და მუდმივი აქციები, რაც იმაზე მიანიშნებს, რომ ხელისუფლება ხალხს არ უსმენს.

არ მომწონს, რომ არ არის სტაბილური პოლიტიკური სიტუაცია... ყოველთვის ხდება აქციები. ეს უნდა იყოს, თუმცა მთავრობის მხრიდან უნდა იყოს მიღებული ხალხის აზრი, უნდა ითვალისწინებდნენ ხალხის აზრს... ხალხს არ უნდა უწევდეს ამდენი გამოსვლები და ესე დაფიქსირება საკუთარი აზრის (ქალი, 24, უმაღლესი განათლება, ეთნიკურად ქართველი, თბილისი).

არეულობის მიზეზად ხშირად სახელდება და, ზოგადად, უარყოფითად ფასდება საზოგადოების გახლეჩა პოლიტიკური, ეთნიკური, რელიგიური, სექსუალური ორიენტაციის ნიშნით, განსხვავებულის მიუღებლობა, ქსენოფობიური აგრესია.

შიდა არეულობასთან მიმართებით ახალგაზრდები საუბრობენ კრიმინალის გაზრდილ დონეზეც. ახალგაზრდები პრობლემურად მიიჩნევენ საქართველოში არსებულ საინფორმაციო გარემოს და მედიის დამოუკიდებლობის წინაშე არსებულ გამოწვევებსაც. მათი აზრით, გარკვეული ჯგუფები ქვეყანაში საინფორმაციო ვაკუუმში არიან, ხელმისაწვდომი ინფორმაცია კი, ძირითადად, არის მიკერძოებული, ნეგატიური და სტრესავს საზოგადოებას. უფრო იშვიათად სახელდება ინფრასტრუქტურული საკითხები, ეკოლოგიური პრობლემები, ადრეული ქორწინების პრაქტიკა და სხვ. მონაწილეები შეეხნენ პანდემიის საკითხსაც, რის მართვასთან დაკავშირებითაც არაერთი უარყოფითი ასპექტი დასახელდა, განსაკუთრებით საზოგადოებრივ ტრანსპორტზე დაწესებულ შეზღუდვებთან დაკავშირებით.

საშინაო პოლიტიკასთან ერთად, ახალგაზრდები აკრიტიკებენ საგარეო პოლიტიკურ ვითარებასაც. მართალია ახალგაზრდები მიიჩნევენ, რომ საქართველოს საგარეო პოლიტიკა, ძირითადად, ევრო-ატლანტიკური ინტეგრაციისაკენ არის მიმართული, მაგრამ საგარეო პოლიტიკასთან დაკავ-შირებით არსებულ გამოწვევებზე საუბრისას, ახალგაზრდების ნაწილი საუბრობს ევროპული კურსიდან გადახვევის პრობლემაზე, რაც საკმაოდ მტკივნეულად აღიქმება, თუმცა, ყველაზე მწვავე პრობლემად აღიქმება ტერიტორიების ოკუპაცია და რუსეთის მუდმივი აგრესია. ახალგაზრდები აცხადებენ, რომ თავს დაცულად არ გრძნობენ რუსეთისგან მომავალი მუდმივი საფრთხის გამო, მით უმეტეს, რომ ტერიტორიების ოკუპაციისა და გამყოფი ხაზის საზღვრის გადმოწევის პროცესი მუდმივად მიმდინარეობს.

არ მაქვს ჩემს ქვეყანაში უსაფრთხოების განცდა და ეს უკვე დიდი ხანია, რაც მაწუხებს... უფრო შიდა საფრთხეს ვგულისხმობ, ასევე საგარეოსაც, როცა ვხედავ, რომ საზღვრები იწევა, თან ახლოს ვარ და არ მაქვს არანაირი უსაფრთხოების განცდა... პოლიტიკური სიტუაცია არ მომწონს, რომ არ აქვს ხალხს სიტყვის თავისუფლება და თუ ვინმე რამეს გამოხატავს, შემდეგ ამას მოჰყვება ძალადობა... (ქალი, 23, უმაღლესი განათლება, ეთნიკურად ქართველი, შიდა ქართლი).

3.2.1.2. დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიის შეფასება

ფოკუს ჯგუფებში მონაწილე ახალგაზრდებმა შეაფასეს საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ დამოუკიდებელ საქართველოში განვითარებული მოვლენები და ისაუბრეს ბოლო 30 წლის განმავლობაში განვითარებულ ყველაზე დადებით და ყველაზე უარყოფით ისტორიულ მოვლენებზე.

ბოლო 30 წლის განმავლობაში საქართველოს ისტორიაში ყველაზე დადებით მოვლენად ახალგაზრდები საბჭოთა კავშირის დაშლასა და დამოუკიდებლობის აღდგენას, დამოუკიდებელი საქართველოს კონსტიტუციისა და ეროვნული ვალუტის მიღებას მიიჩნევენ. დადებითად ფასდება საქართველოს გაეროში გაწევრიანება, რაც ქვეყნის დამოუკიდებლობის საერთაშორისო აღიარებას ნიშნავდა. დამოუკიდებლობას უკავშირდება და ხშირად ახსენებენ ახალგაზრდები საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის მოპოვებას, როგორც ერთ-ერთ ყველაზე დადებით ისტორიულ მოვლენას. შიდა პოლიტიკური მოვლენებიდან ყველაზე ხშირად აღინიშნება 2003 წლის ვარდების რევოლუცია, რის შემდეგაც, ახალგაზრდების აზრით, დაიწყო სახელმწიფო ინსტიტუტების მშენებლობა და ქვეყანა განვითარების გზას დაადგა. 2012 წლის არჩევნები კი ხშირად სახელდება მნიშვნელოვან ისტორიულ მოვლენად, ვინაიდან საქართველოს ისტორიაში პირველად მოხდა ხელისუფლების გადაცემა დემოკრატიული არჩევნების გზით, „უსისხლოდ“, ძალადობის გარეშე.

დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ მნიშვნელოვან ისტორიულ პროცესად აღიქმება ქვეყნის ევროატლანტიკური კურსი, ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების გაფორმება და ვიზალიბერალიზაცია, რის შედეგადაც საქართველო კიდევ უფრო დაუახლოვდა ევროპას, მოგზაურობა და ევროპულ კულტურას ზიარება კი უფრო მარტივი გახდა. ახალგაზრდებისთვის მნიშვნელოვანი ისტორიული მოვლენაა, ასევე, ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება საქართველოს სასარგებლოდ რუსეთ-საქართველოს ომთან დაკავშირებით.

> *ევროპასთან ვიზალიბერალიზაციის საკითხი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მომენტი იყო ალბათ ბოლო პერიოდში საქართველოს ისტორიაში, იმიტომ, რომ მივხვდით, რომ სწორი მიმართულებით მივდივართ. ყოველ შემთხვევაში, ვიგრძენით, რომ საქმითაც, პრაქტიკაში ნახეს, მოკლედ რა, ევროპასთან დაახლოება. ასე თუ ისე გამოვცადეთ, რომ ევროპელობა გვინდა, ევროპასთან სიახლოვე აღარ არის უკვე ჩვენთვის საკმარისი, ევროპაში გვინდა (მამაკაცი, 24, უმაღლესი განათლება, ეთნიკურად ქართველი, თელავი).*

რაც შეეხება უარყოფით მოვლენებს, ყველაზე ხშირად სახელდება ომების გამოცდილება, როგორც 1990-იან წლებში, ისე 2008 წელს, და ტერიტორიების დაკარგვა, რაც ამ კონფლიქტებს შედეგად მოჰყვა. ამასთან ერთად აღინიშნება დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ განვითარებული ისეთი მძიმე პოლიტიკური მოვლენები, როგორიც იყო ზვიად გამსახურდიას მკვლელობა, სამოქალაქო არეულობა, დაპირისპირება და სისხლისღვრა სამეგრელოში.

> *სამოქალაქო ომი. შემდეგ სამაჩაბლოში განვითარებული მოვლენები. პარალელურად დაახლოებით და შემდეგ უკვე აფხაზეთის ომი. მერე უკვე ეს 90-იანი წლების მოყოლებული არეულობები. ეს დესტაბილიზაცია მთლიანად, რამაც მთლიანად ქვეყნის ეკონომიკის, საზოგადოების ერთიანობის ჩამოშლა გამოიწვია (მამაკაცი, 24, უმაღლესი განათლება, ეთნიკურად ქართველი, თელავი).*

უარყოფითად აფასებენ ახალგაზრდები ბოლო 30 წლის განმავლობაში განვითარებულ არა მხოლოდ კონკრეტულ მოვლენებს, არამედ ზოგად პროცესებსაც. კიდევ ერთხელ აღინიშნება მცოცავი ოკუპაცია და ადამიანების გატაცება საოკუპაციო ხაზთან. აღინიშნება ისეთი უარყოფითი

მოვლენები და პროცესები, რომლებიც დემოკრატიული სახელმწიფო ინსტიტუტების შენებას ხელს უშლის, მაგალითად, სახელმწიფოს მხრიდან მოქალაქეებზე ძალადობის შემთხვევები ან შემთხვევები, როდესაც სახელმწიფომ ვერ შეძლო მოქალაქეთა დაცვა ძალადობისგან. ასეთ მოვლენებად სახელდება ეგრეთ წოდებული „გავრილოვის ღამე" — საპროტესტო აქცია, რომელიც ხელისუფლებამ ძალადობრივად დაშალა, სტუდენტების მშვიდობიანი აქციის დარბევა ბათუმში, ჰომოფობიის ნიადაგზე 2013 და 2021 წლებში განვითარებული მოვლენები, როდესაც მასშტაბურ ძალადობას ჰქონდა ადგილი, ჟურნალისტების დარბევა ტელევიზიაში 2007 წელს, პოლიტიკურ ნიადაგზე მკვლელობების გამოუძიებელი საქმეები და ა.შ.

> *...2008 წლის ომი კი ვახსენეთ, მაგრამ ბევრი მოვლენა იყო - 20 ივნისი, გავრილოვის ღამე, ანუ ბევრი რაღაც იყო, რაც ეხლა უცბად არ გვახსენდება, თუნდაც ხუთი ივნისი, მედიაზე თავდასხმა, გამოუძიებელი საქმეები, შაქარაშვილი, ბაჩალეიშვილი, ანუ ბევრი ისეთი მოვლენა იყო, რამაც ჩვენ დემოკრატიულ სახელმწიფოდ ჩამოყალიბებას ხელი შეუშალა (ქალი, 24, უმაღლესი განათლება, ეთნიკურად ქართველი, სამცხე-ჯავახეთი).*

3.2.1.3. საქართველო, რომელში ცხოვრებასაც ისურვებდნენ ახალგაზრდები

იმ საქართველოზე საუბრისას, რომელში ცხოვრებასაც ისურვებდნენ, ახალგაზრდები ისევ და ისევ უბრუნდებიან იმ პრობლემურ საკითხებს, რომლებიც საქართველოში არსებული ვითარების შეფასებისას დაასახელეს.

ყველაზე ხშირად ფიგურირებს დემოკრატიულ და ეკონომიკურად განვითარებულ, ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრირებულ ქვეყანაში ცხოვრების, მდგრადი მშვიდობისა და განვითარების მიღწევის სურვილი. ეკონომიკაზე საუბრისას, ახალგაზრდები საუბრობენ სოციალურ თანასწორობაზე, მოქალაქეზე მორგებულ სოციალურ პროგრამებზე, ღირსეულ და უსაფრთხო შრომასა და ღირსეულ ანაზღაურებაზე. ახალგაზრდებს სურთ ქვეყანამ განვითარების ისეთ დონეს მიაღწიოს, რომ შემცირდეს შრომითი მიგრაცია, შრომითი მიგრანტები ქვეყანას დაუბრუნდნენ და ახალგაზრდებსაც ჰქონდეთ განვითარების საშუალება საკუთარ ქვეყანაში. ახალგაზრდები, ასევე, ძალიან ხშირად საუბრობენ განათლების ხარისხის გაუმჯობესებასა და მასზე ხელმისაწვდომობის ზრდაზე, განათლების ისეთ სისტემასა და ისეთ სამუშაო ბაზარზე, რომელიც ახალგაზრდებს საკუთარი პროფესიით დასაქმების შესაძლებლობას მისცემს. ამის მისაღწევად, სხვა ნაბიჯებთან ერთად, უნდა აღმოიფხვრას ნეპოტიზმი. გარდა ამისა, განათლების მიღების შესაძლებლობები უნდა გაიზარდოს რეგიონებშიც.

> *ახალგაზრდული კუთხით, ახალგაზრდებს, განსაკუთრებით რეგიონებში, არ ეძლევათ საკუთარი შესაძლებლობების რეალიზაციის საშუალება... და ხშირ შემთხვევაში, როცა ქალაქში ჩადიან უკვე გვიანია მათი უნარ-ჩვევების [განვითარება], მაგალითად, სპორტში, კულტურაში, განათლებაში, როცა თვრამეტი-ოცი წლის მიდიხარ უკვე ქალაქში, ცოტა გვიან არის უკვე ამ უნარ-ჩვევების გამოყენება. ამიტომ, რეალიზაცია შესაძლებლობების არ არის და საგანმანათლებლო კუთხითაც ძალიან ბევრი პრობლემა გვაქვს (მამაკაცი, 28, უმაღლესი განათლება, ეთნიკურად ქართველი, სვანეთი).*

ახალგაზრდები მიიჩნევენ, რომ ქვეყანაში უნდა განვითარდეს წარმოება და სოფლის მეურნეობა, შეიქმნას უსაფრთხო და ხელმისაწვდომი გარემო ინვესტიციებისთვის, ადგილობრივი მოსახლეობისთვის, რომ ქვეყანა ნაკლებად იყოს დამოკიდებული იმპორტულ პროდუქტზე, რაც სოფლების განვითარებასაც შეუწყობს ხელს. სოფლებთან მიმართებით, ახალგაზრდები ასევე საუბრობენ

სოფლის განვითარებაზე იმ კუთხით, რომ იქ მცხოვრებ ახალგაზრდებს ჰქონდეთ სამუშაო ადგილები, გამართული სატრანსპორტო თუ სხვა ინფრასტრუქტურა და ღირსეული ცხოვრების შესაძლებლობა, რომ იძულებულნი არ გახდნენ, თბილისსა თუ სხვა ქალაქებში გადასახლდნენ.

დემოკრატიული განვითარების მხრივ, ახალგაზრდები, ძირითადად, ისურვებდნენ დამოუკიდებელ და გამჭვირვალე სასამართლოს, სამართლიან არჩევნებს, ადამიანის უფლებების დაცვას, სიტყვის თავისუფლების გარანტიას, „ადამიანზე მორგებული კანონებს". ახალგაზრდებს სურთ დემოკრატიულ და სეკულარულ სახელმწიფოში ცხოვრება, სადაც დემოკრატიული ინსტიტუტები ძლიერია და საპატრიარქო არ ერევა სახელმწიფო საქმეებში. მართალია, როგორც ზემოთ აღინიშნა, ახალგაზრდების ნახევარზე მეტი ემხრობა ქვეყნის ბიუჯეტიდან ეკლესიის დაფინანსებას, თუმცა, ფოკუს ჯგუფის მონაწილეთა ნაწილი ამის წინააღმდეგია. საქართველოში მცხოვრებ ახალგაზრდებს სურთ თავისუფალი, მრავალფეროვანი და ტოლერანტული საზოგადოება, რომელშიც განსხვავებულის მიმართ მაღალი მიმღებლობაა, რელიგიური ფანატიზმი აღმოფხვრილია, პოლიტიკური დაპირისპირებები როგორც პარტიებს, ისე ხალხს შორის მცირეა და ხალხი ერთმანეთის აზრს პატივს სცემს.

> *პირველ რიგში განვითარებული [საქართველო მინდა] და რას ვგულისხმობ ამაში — ჩამოყალიბებული პოლიტიკურად, კულტურულად, მენტალურად, მათ შორის, ეკონომიკურად, განათლების მაღალი დონით, განსხვავებულის მიმართ იქნება შემწყნარებლობა, პატივისცემა... ახალგაზრდებს ჰქონდეთ მეტი პერსპექტივა და არავის ჰქონდეს გაქცევის სურვილი, უბრალოდ, აქ შესაძლებელი იყოს ძალიან მარტივად დასაქმება და საკუთარი კარიერისა და ცხოვრების ისე დაგეგმვა, როგორც თითოეულ ჩვენგანს სურს, ანუ მეტი თავისუფლება, მათ შორის (მამაკაცი, 21, უმაღლესი განათლება, ეთნიკურად ქართველი, აჭარა).*

3.2.2. საქართველოსთვის მნიშვნელოვანი და ნაკლებად მნიშვნელოვანი ღირებულებები

ღირებულებებზე საუბრისას ახალგაზრდები ურთიერთმონაცვლეობით საუბრობენ იმ ღირებულებებსა თუ ტრადიციებზე, რომელთა შენარჩუნებას და შეცვლასაც ისურვებდნენ.

ქართველი ხალხის ისეთი მახასიათებლები, როგორებიცაა სტუმართმოყვარეობა და ერთმანეთის მხარში დგომა, სახელდება იმ ღირებულებათა შორის, რომელთა შენარჩუნებასაც ახალგაზრდები ისურვებდნენ. ამასთან ერთად სახელდება ოჯახი და ოჯახური ურთიერთობები, უფროსის პატივისცემა, ქალის პატივისცემა, ძმობა, ერთობა, პატრიოტიზმი და თაობებს შორის ურთიერთპატივისცემა და სიყვარული, რაც განსაკუთრებით იგრძნობა იმ ოჯახებში, სადაც რამდენიმე თაობის წარმომადგენელი ერთად ცხოვრობს.

> *ჩემი აზრით, ჩვენ, ზოგადად ქართველები, სტუმართმოყვარეები ვართ და თბილი ხასიათის ხალხი, ყველასთვის დახმარება გვიყვარს. ეს კარგია და არ ვფიქრობ, რომ ის არის, რაც უნდა დავივიწყოთ... (ქალი, 24, უმაღლესი განათლება, ეთნიკურად ქართველი, თბილისი).*

ახალგაზრდები ღირებულებებში მოიაზრებენ, ზოგადად, ქართულ კულტურასა და ისეთ კულტურულ მემკვიდრეობას, როგორიცაა ქართული მწერლობა, ფოლკლორი, ხალხური ცეკვა და სიმღერა. ღირებულებად სახელდება სარწმუნოებაც, რომელიც, ბევრის აზრით, კულტურასთან არის გადაჯაჭვული.

რესპონდენტების ნაწილი, ტოლერანტობაზე საუბრისას, მიიჩნევს, რომ საქართველო მრავალეთ-ნიკური ქვეყანაა და ტოლერანტობა ყოველთვის იყო მისი მახასიათებელი; ნაწილი კი მიიჩნევს, რომ ქართველმა ერმა ტოლერანტობა დაკარგა და მნიშვნელოვანია მისი კვლავ შეთვისება. ეთნიკური ნიშნით დისკრიმინაციასთან ერთად აღინიშნა გენდერული და სექსუალური ნიშნით დისკრიმინაციაც. ახალგაზრდებმა აღნიშნეს, რომ უფროს თაობებთან შედარებით, ახალ თაობაში ამ მხრივ მიმღებლობა ნელ-ნელა იზრდება, რაც, მათი აზრით, აუცილებლად უნდა შენარჩუნდეს. იგივე აღინიშნება ღირებულებებზეც. ზოგიერთი ახალგაზრდა აღნიშნავს, რომ ღირებულებები ერთ ქვეყანაში მცხოვრებ ხალხს შეიძლება სხვადასხვა ჰქონდეს და მნიშვნელოვანია ერთმანეთის თავისუფლება არ შევზღუდოთ; ყველას ჰქონდეს ის ღირებულება, რაც მნიშვნელოვნად მიაჩნია.

> *როგორც ჩვენი ისტორიიდან ვიცით, ყოველთვის საქართველო იყო ტოლერანტული ქვეყანა... სამწუხაროდ, დღეს რაღაც განსხვავებული ჩაცმულობის, აზრის მქონე ადამიანებს კომბლებით დავდევთ ქუჩაში. მსურს, რო ისევ ძველი, ტოლერანტული ქართული ხასიათი დავიბრუნოთ; რომ ისევ სხვადასხვა რელიგიური მიმდევრობის, პოლიტიკური თუ ჩაცმულობით განსხვავებული ადამიანები არ იდევნებოდნენ და ყველა, მთელი საზოგადოება, განსხვავებული შემადგენლობით ცხოვრობდეთ შეხმატკბილებულად (მამაკაცი, 28, უმაღლესი განათლება, ეთნიკურად ქართველი, სვანეთი).*

არის შემთხვევებიც, როდესაც ღირებულებებზე საუბრისას მონაწილეებს ახსენდებათ ქართველი ხალხის ისეთი მახასიათებლები, რომელთა შენარჩუნებას არ ისურვებდნენ. მაგალითად, სიზარმაცე, „ერთმანეთის გაუტანლობა“, ერთმანეთის ცხოვრებაში ზედმეტად შეჭრა და ჩარევა. სახელდება 90-იანი წლებიდან გამოყოლილი ქურდული/კრიმინალური მენტალიტეტი და აზროვნებაც.

> *ადამიანს, ზოგს უფრო მეტად, სხვისი ცხოვრება ანაღვლებს, ვიდრე თავისი... ვინ გეია, ვის ცხვირი აქვს გახვრეტილი, ვის თმა აქვს შეღებილი. უბრალოდ, ჩვენ ეს არ უნდა გვაინტერესებდეს, იმიტომ, რომ ეს ერთგვარი განვითარებაა, ეს არის ადამიანის თავისუფლება (ქალი, 23, საშუალო ტექნიკური განათლება, ეთნიკურად ქართველი, სამცხე-ჯავახეთი).*

ახალგაზრდებს არ მოსწონთ ისეთი ტრადიციები, რომლებმაც, მათი აზრით, თავდაპირველი მნიშ-ვნელობა დაკარგა. ასეთად ასახელებენ ქელეხის ტრადიციას, რადგან მიცვალებულის გასვენების შემდეგ ჭამა-სმა და ღრეობა მიუღებელია; სუფრისა და თამადის ტრადიციას, რომელიც მხოლოდ უგონო სმასთან, „ღრეობასთან“ ასოცირდება. ახალგაზრდების აზრით, ეს არის ტრადიციის „დამა-ხინჯებული ფორმა“ და „უაზრო სმა-ჭამა“ არ არის ქართული ტრადიცია. ხშირად სახელდება ისე-თი წარმართული დღესასწაულებიც, რომლებიც დღევანდელ ქრისტიანულ კულტურაშიც შემორ-ჩენილია, მაგალითად, ლომისობა. დასახელდა მთიან რეგიონებში გავრცელებული სისხლის აღების ტრადიციაც, რაც თანდათან ისედაც ქრება.

> *კარგია სტუმარმასპინძლობა, ეს კარგი ტრადიცია გვაქვს, თუმცა ჩემი აზრით... ჩვენი ღი-რებულებები და კულტურა ყოველთვის უნდა გადავაფასოთ, სიახლეები მივიღოთ და თანა-მედროვეობას შევუსაბამოთ. ამ მხრივ ვთვლი, რომ ძალიან ცუდი ტრადიციები გვაქვს, პირველი, რაც მახსენდება, მაგალითად, როცა სუფრაზე დაძალებაა სასმლის, ან არ ვიცით ზომა რამდენი უნდა დავლიოთ, როგორ უნდა დავლიოთ და შემდეგ ეს გადადის ცუდ რაღაცებში (მამაკაცი, 21, უმაღლესი განათლება, ეთნიკურად ქართველი, აჭარა).*

თუკი ახალგაზრდების ნაწილი კონკრეტულად ასახელებს იმ ტრადიციებს, რომელთა შენარჩუნებას (მაგალითად, სტუმარ-მასპინძლობა), ან შეცვლას (მაგალითად, ქელეხი) ისურვებდა, ნაწილი

უბრალოდ აღნიშნავს, რომ სურს შენარჩუნდეს „ქართველობა“, „ტრადიციები“ და „ადათ-წესები“, თუმცა უჭირს კონკრეტულად განმარტება, თუ რა იგულისხმება ამ ცნებებში. ახალგაზრდები იშვიათად ასახელებენ ღირებულებებს, რომელთა შენარჩუნებას არ ისურვებდნენ, მაგრამ უჭირთ იმის განმარტება, თუ კონკრეტულად რა მოიაზრება ამ ღირებულებებში. მაგალითად, მათი აზრით, არ უნდა შევინარჩუნოთ ისეთი ღირებულებები, რომლებიც „მოიტანა კაპიტალიზმმა“, თუმცა რა ღირებულებები მოიტანა კაპიტალიზმმა, ამას ასევე ვერ განმარტავენ. ახალგაზრდები, ასევე, ახსენებენ, რომ ზოგიერთი ღირებულება პიროვნულ, ადამიანის თავისუფლებასთან მოდის წინააღმდეგობაში და მსგავსი ღირებულებები არ უნდა შენარჩუნდეს, თუმცა ასეთი ღირებულებების კონკრეტულად დასახელება ან განმარტება უჭირთ.

3.2.3. საქართველოს მსგავსება და განსხვავება ევროპასთან, და სხვა ქვეყნებთან, იდენტობის საკითხები

3.2.3.1. საქართველოს აღქმა ევროპულ სივრცეში

ფოკუს ჯგუფების მონაწილეები, დიდწილად, მიიჩნევენ, რომ საქართველო სხვადასხვა კულტურის ნაწილია და გეოგრაფიულადაც ორი კონტინენტის - ევროპისა და აზიის - გასაყარზეა, თუმცა ზოგი მეტად ევროპის ნაწილად მიიჩნევს საქართველოს, ზოგი - მეტად აზიის, ზოგი კი - ორივეს თანაბრად. მონაწილეთა ნაწილი მიიჩნევს, რომ ევროპისკენ სწრაფვა საქართველოს ისტორიული არჩევანია და მიუხედავად განსხვავებებისა თუ გამოწვევებისა, საქართველო შეიძლება ევროპის ნაწილად მივიჩნიოთ, ნაწილი კი უფრო მსგავსებებსა და განსხვავებებზე ფოკუსირდება და ამის საფუძველზე განსაზღვრავს, თუ რამდენად შეიძლება საქართველო მოიაზრებოდეს ევროპის ნაწილად. სახელდება როგორც ღირებულებითი, ისე განვითარების მხრივ მსგავსებები თუ განსხვავებები.

მონაწილეების აზრით, საქართველოსთან შედარებით, ევროპა მეტად განვითარებულია. მეტად განვითარებულია როგორც ეკონომიკა, ისე საზოგადოება. უფრო მაღალია შრომის ანაზღაურება, საზოგადოება კი მეტად ტოლერანტული და რაციონალურია, პირადი სივრცის კულტურა უფრო მაღალია, საზოგადოება მეტად ინდივიდუალისტურია, ვიდრე კოლექტივისტური. ადამიანური ურთიერთობების გადმოსახედიდან, ეს საკითხი დაუკავშირეს მარტოობის პრობლემასაც, რაც ევროპაში, მათი აზრით, უფრო მწვავედ დგას, ვიდრე - საქართველოში. ტოლერანტობასთან დაკავშირებით აზრთა სხვადასხვაობაა. რესპონდენტების ნაწილი მიიჩნევს, რომ ტოლერანტობა შედარებით ახალი ფენომენია ევროპაშიც და აზიის ზოგიერთ ქვეყანასთან შედარებით, საქართველო საკმაოდ ტოლერანტული ქვეყანაა. მნიშვნელოვან მსგავსებად სახელდება რელიგია, ვინაიდან საქართველოს მსგავსად, ევროპაშიც ყველაზე გავრცელებული რელიგია ქრისტიანობაა. საქართველო ევროპასთან ახლოს დგას მმართველობის ფორმებით, კონსტიტუციითა და კანონებით, თუმცა ისიც აღინიშნა, რომ მსგავსება ხშირად უფრო ფორმალურია და იშვიათად ხორციელდება. მაგალითად დასახელდა შრომის კოდექსი, რაც საქართველომ მიიღო, მაგრამ არ განხორციელდა.

> *მე თვლი, რომ ეს ჩვენი ისტორიული არჩევანია და არა ჩვენი ამჟამინდელი ახირება. ის, რომ თამარ მეფის პერიოდიდან მომდინარეობს და ტოლერანტობა, რაც დავით აღმაშენებლის პერიოდში იყო, ეს ნამდვილად იმის გამოხატულებაა, რომ ჩვენს მენტალობაში და აღქმაში ნამდვილად ჯდება ის ევროპული ღირებულებები, რაც ევროპას აქვს... ის ფაქტი, რომ ასოცირების შეთანხმება დავდეთ და რომ მივიწევთ წინ ნათლად გამოხატულებაა იმისა, რომ ჩვენ ევროპის ნაწილი ვართ (მამაკაცი, 21, უმაღლესი განათლება/სტუდენტი, ეთნიკურად ქართველი, ბათუმი).*

აზიასთან მსგავსების თვალსაზრისით, აქცენტი გაკეთდა კოლექტიურობაზე. განსხვავების თვალსაზრისით, ხშირად სახელდება გენდერული საკითხები. ახალგაზრდები მიიჩნევენ, რომ აზიაში ქალებს ნაკლები თავისუფლება აქვთ, რომ აზიური საზოგადოებები მეტად მკაცრნი არიან ქალების მიმართ. თუმცა, ზოგისთვის საქართველო უფრო აზიაა, ვიდრე ევროპა.

> *მე ვფიქრობ, რომ საქართველო უფრო მეტად აზიაა, ვიდრე ევროპა... უფრო ისეთი კოლექტივისტური ცხოვრების წესი გვაქვს, უფრო აზიური და რაღაცა ემოციებზე და გრძნობებზე უფრო მეტი აქცენტია, ვიდრე ევროპული რაციონალურობის... რაღაც სწორი ბალანსით არის ჩვენში აზიურობა (მამაკაცი, 25, უმაღლესი განათლება, ეთნიკურად ქართველი, თელავი).*

ახალგაზრდების ნაწილი მიიჩნევს, რომ საქართველო, გეოგრაფიული მდებარეობიდან გამომდინარე, „ყველაფრის ნაწილია", როგორც ევროპული, ისე აზიური კულტურების, თუმცა სასურველია, ისეთი გეზი აირჩიოს, რომ შეძლოს ყველა კულტურიდან აიღოს რაღაც კარგი, არ გადმოიტანოს ყველაფერი „ბრმად" და შეინარჩუნოს თვითმყოფადობა. მკვეთრად უარყოფითი დამოკიდებულებები ევროპისა თუ აზიის მიმართ იშვიათად იკვეთება. გამოითქვა მოსაზრებაც, რომ მსგავსებისა და განსხვავებების თვალსაზრისით, ევროპასა და აზიასთან შედარება არასწორია, რადგან როგორც ევროპაში, ისე აზიაში ერები და ქვეყნები განსხვავდება. აღინიშნა ისიც, რომ შეიძლება ქართული საზოგადოებაც იყოფოდეს ორად: ნაწილი მეტად ევროპულ ღირებულებებს იზიარებდეს, როგორიცაა თავისუფლება, ადამიანის უფლებები, გენდერული თანასწორობა; ნაწილი კი — აზიურს, როგორიცაა კოლექტივიზმი და მეტი შეზღუდვა.

> *ათქვეფილები ვართ... ნახევარი აზიური გვაქვს, ნახევარი ევროპული... უმეტესი რაღაცები ორივე მხრიდან არის, განათლება ევროპა იყო, ისტორიაშიც როგორც არის, ევროპულ განათლებას ვიღებდით, ევროპისკენ მივდიოდით განათლების მხრივ, იმდენი ხანი ვიყავით დაპყრობილები, რომ მართლა 50/50-ზეა ევროპა და აზია (მამაკაცი,19, უმაღლესი განათლება/ სტუდენტი, ეთნიკურად ქართველი, თბილისი).*

მონაწილეებს მეტად უჭირთ ცალკეულ ქვეყნებთან საერთო მახასიათებლების დასახელება, თუმცა ახსენდებათ რამდენიმე ქვეყანა, რომელთანაც ტრადიციებიდან, ერის ხასიათიდან, სამზარეულოდან, სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობიდან, საშინაო თუ საგარეო პოლიტიკური, გეოპოლიტიკური მდგომარეობიდან გამომდინარე მსგავსებებზე საუბრობენ. ხალხის ხასიათიდან, ოჯახის მნიშვნელობიდან გამომდინარე, ახალგაზრდები ხშირად ხედავენ მსგავსებას იტალიელებთან, იტალიურ მაფიას ამსგავსებენ ქართულ „კანონიერი ქურდობის" ინსტიტუტსაც. ღვინის სიყვარულისა და ხარისხის თვალსაზრისით, ქართველებს ადარებენ ფრანგებს. გეოპოლიტიკური თვალსაზრისით და საერთო მტრის თვალსაზრისით, საქართველოს ადარებენ უკრაინას, რადგან რუსეთი როგორც საქართველოსთვის, ისე უკრაინისთვის წარმოადგენს მუდმივ საფრთხეს. აქცენტი გაკეთდა პოსტსაბჭოთა ქვეყნებთან (ძირითადად, აღმოსავლეთ ევროპის) მსგავსებაზე, საერთო ისტორიული (საბჭოთა) წარსულიდან გამომდინარე. ქვეყნის მართვასთან დაკავშირებით გაკეთდა ისეთი რადიკალურად უარყოფითი შეფასებებიც, როგორიცაა საქართველოს რუსეთთან, ჩრდილოეთ კორეასა და სიერა ლეონესთან შედარება, ვინაიდან მხოლოდ ამ ქვეყნებშია შემორჩენილი „მონობა" და ავტოკრატიული მმართველობა. ახალგაზრდები მსგავსებას ხედავენ თურქეთთან იმით, რომ ისიც ევროპისა და აზიის ნაზავია, რელიგიური საზოგადოებაა და სიახლეების მიღება უჭირს. რუსეთთან სახელდება რელიგიური მსგავსება. ამ ორ ქვეყანასთან მსგავსებას ასევე განაპირობებს საუკუნეების განმავლობაში მათი ბატონობა საქართველოზე.

3.2.3.2. იდენტობის აღქმა

როდესაც საქმე ეხება საკუთარ იდენტობას, ფოკუს ჯგუფის მონაწილეები ყველაზე ხშირად ასახელებენ იდენტობის რამდენიმე - კუთხურ, ეთნიკურ, ეროვნულ და რეგიონულ - შრეს, მცირე ნაწილი კი აცხადებს, რომ საკუთარ იდენტობას ამ მაჩვენებლებით არ განსაზღვრავს.

მიუხედავად იმისა, რომ თითქმის ყველა მონაწილისთვის ქართველობა მნიშვნელოვანი იდენ-ტობაა, რაც საქართველოს ისტორიასთან, კულტურასთან, ტრადიციებთან სიახლოვეს გულისხმობს, მონაწილეთა ნაწილი ამის წინ აყენებს კუთხურ ან ეთნიკურ მიკუთვნებულობას და აცხადებს, რომ მაგალითად, ჯერ მეგრელია, ქისტი, სომეხი და ა.შ. და შემდეგ - ქართველი. ეთნიკურად აზერბაიჯანელი ახალგაზრდები ნაკლებად ასახელებენ ქართველობას, როგორც იდენტობას, და უფრო ხშირად ამბობენ, რომ საქართველოში მცხოვრებ აზერბაიჯანელად ან თურქად მიიჩნევენ თავს.

> *ჩემზე შემიძლია ვთქვა, რომ მე ვარ ჯერ ქისტი და შემდეგ ქართველი... ასე მიმაჩნია პირადად იმიტომ, რომ ჩვენი თემი, ქისტები, საქართველოში ჩამოსახლდა ორი საუკუნის წინ, ორასი წელი არც ისეთი დიდი დროა, რომ სრულად შეერწყას ქართველებს, რომ თავისი ღირებულებები ან შეიცვალოს ან დაკარგოს. თუმცა მე ვფიქრობ, რომ ჩვენმა თემმა ძალიან წარმატებით გაიარა ეს ინტეგრაციის ეტაპი იმიტომ, რომ დიდი ნაწილი - და, შეიძლება ითქვას, რომ უმრავლესობა - უპრობლემოდ საუბრობს ქართულად... მე დავიბადე საქართველოში, აქ გავიზარდე და აქ ავიდგი ფეხი (ქალი, 21, უმაღლესი განათლება/სტუდენტი, ეთნიკურად ქისტი, კახეთი).*

ეროვნულ იდენტობასთან ერთად ახალგაზრდები ხშირად საუბრობენ რეგიონულ იდენტობაზე. ყველაზე ხშირად ახალგაზრდები თავს ევროპელებად მოიაზრებენ და ხშირად იხსენებენ ზურაბ ჟვანიას ცნობილ ფრაზასაც - „მე ვარ ქართველი და, მაშასადამე, ვარ ევროპელი“. ამ შემთხვევაში, იდენტობას ახალგაზრდები უკავშირებენ აზროვნებას, დამოკიდებულებებს და კულტურას. უფრო იშვიათად, ქართველობასა და ევროპელობას შორის შუალედური შრედაც სახელდება კავკა-სიელობაც, ვინაიდან კავკასიელ ხალხებში ახალგაზრდების ნაწილი ხედავს საერთო ტრადიციებსა და მახასიათებლებს, მაგალითად, ვაჟკაცობას.

> *ანუ იდენტობა არის ადამიანის ფსიქოლოგიური წარმოდგენა საკუთარ მეზე... ჩემი აზრით, მე ვარ ქართველი, ვარ კავკასიელი და ვარ ევროპელი. ბატონმა ზურაბ ჟვანიამაც თქვა, რომ მე ვარ ქართველი და მაშასადამე ვარ ევროპელიო, სწორად ესე ვხედავ მე ჩემს იდენტობას, ესე ვიტყოდი (ქალი, უმაღლესი განათლება, ეთნიკურად ქართველი, სამეგრელო).*

იდენტობაზე საუბრისას გამოიკვეთა საბჭოთა კავშირის როლიც. საქართველოში არსებული მდგომარეობის შეფასებისას მონაწილეები ხშირად ახსენებენ საბჭოთა მენტალიტეტს, როგორც დაბრკოლებას დემოკრატიული განვითარების გზაზე. მსგავსად, აღინიშნა, რომ საბჭოთა მენ-ტალიტეტი ჯერ კიდევ თამაშობს გარკვეულ როლს ქართველების იდენტობის ჩამოყალიბებაში და, შესაბამისად, ზოგიერთი ახალგაზრდა იდენტობის ერთ-ერთ შრედ მოიაზრებს პოსტსაბჭოთა სივრცის წარმომადგენლობასაც.

> *მე მგონია, რომ გვინდა არ გვინდა პოსტსაბჭოთა ადამიანები ვართ მაინც, იქიდან გამომ-დინარე, რომ ჩემთვის ყოველ შემთხვევაში, ჩვენი მშობლები ასე თუ ისე მაინც იმ რეჟიმში გაიზარდნენ, მაინც გადმოაქვთ თავიანთი შეხედულებები ჩვენზე... და ამიტომ ამ ეტაპზე მგონია, რომ პოსტსაბჭოთა ხალხი ვართ, მცირედი ევროპისკენ მისწრაფებით (ქალი, 18, საშუალო განათლება, ეთნიკურად ქართველი, ქუთაისი).*

3.2.4. სამხრეთ კავკასიის რეგიონის აღქმა

ფოკუს ჯგუფების მონაწილეთა შორის აზრთა სხვადასხვაობაა იმასთან დაკავშირებით, შეიძლება თუ არა სამხრეთ კავკასია ერთ რეგიონად მოიაზრებოდეს, თუმცა რეგიონის ერთიანად აღქმა საკმაოდ იშვიათია. მიუხედავად იმისა, რომ ახალგაზრდები ხედავენ საერთო მახასიათებლებსა და ღირებულებებს რეგიონის ქვეყნებს შორის, საშინაო თუ საგარეო პოლიტიკური მიმართულება, ეთნიკური და ტერიტორიული კონფლიქტები რეგიონს უფრო ყოფს, ვიდრე აერთიანებს.

მონაწილეთა ნაწილი მიიჩნევს, რომ რეგიონის „სახელი“ არ განსაზღვრავს, რამდენად უნდა „მოიხარშოს ერთ ქვაბში“ მასში შემავალი სხვადასხვა ეროვნებისა და კულტურის ხალხი. რეგიონში ყველა ქვეყანა სხვადასხვა, ძლიერი სახელმწიფოს გავლენის ქვეშაა და ყველა საკუთარ თავზე ზრუნავს იმდენად, რომ „ერთმანეთისთვის თავს ნამდვილად არ გაწირავს“. მიუხედავად ამისა, გამოითქვა მოსაზრება, რომ „სხვა“ ქვეყნების გავლენის შესამცირებლად მნიშვნელოვანია მეტი თანამშრომლობა რეგიონის ქვეყნებს შორის.

მიუხედავად კულტურული თუ რელიგიური განსხვავებებისა, მონაწილეთა აზრით, სამხრეთ კავკასიას აერთიანებს ის, რომ მასში შემავალი საზოგადოებები არის „კულტურულად მდიდარი“, ტრადიციებისკენ მიდრეკილი და რელიგიური. სამხრეთ კავკასიას საბჭოთა კავშირში ცხოვრების საერთო გამოცდილებაც აერთიანებს, „მუდმივად მსგავსი პრობლემები ატყდება თავს“ და „ერთნაირი ბედი აქვს“, რაშიც, ძირითადად, მეზობლებთან კონფლიქტები და დაძაბული ურთიერთობა იგულისხმება.

მონაწილეები საუბრობენ უფრო კონკრეტულ მსგავსებებსა და განსხვავებებზეც საქართველოსა და სამხრეთ კავკასიის ქვეყნებს შორის.

სომხეთსა და საქართველოს შორის მსგავსების თვალსაზრისით, სახელდება რელიგია (მიუხედავად განსხვავებული კონფესიებისა), ღირებულებები, არქიტექტურა, სტუმართმოყვარეობა. განსხვავებად დასახელდა სომხეთის მონოეთნიკურობა, ნაკლები ტოლერანტულობა და უცხოელების ნაკლები მიმღებლობა. ეთნიკურად სომეხი ახალგაზრდები მიიჩნევენ, რომ სომხები და ქართველები ძალიან ჰგვანან ერთმანეთს ოჯახისა თუ სხვა ღირებულებებითა და ტრადიციებით. მიუხედავად რელიგიური მსგავსებისა, ეთნიკურად სომეხი ახალგაზრდები აღნიშნავენ, რომ ქართველი და აზერბაიჯანელი ხალხი მეტად მორწმუნეა სომხებთან შედარებით, რომ მათ ცხოვრებაში რელიგიურ მრწამს მეტი მნიშვნელობა აქვს.

აზერბაიჯანსა და საქართველოს შორის მსგავსების თვალსაზრისით, სახელდება ხალხის თბილი ხასიათი, კომუნიკაბელურობა, ზრდილობა, სტუმარ-მასპინძლობა, და არქიტექტურა. რაც შეეხება ზოგად განსხვავებებს, მონაწილეები მიიჩნევენ, რომ აზერბაიჯანი საქართველოსგან განსხვავდება რელიგიითა და კულტურით. უფრო კონკრეტულად კი, მონაწილეები აღნიშნავენ, რომ აზერბაიჯანში არის მეტი გენდერული უთანასწორობა, უფრო ძლიერი პატრიარქატი, ოჯახის მეტად ძლიერი კულტი და ხელისუფლების მიმართ პროტესტის ნაკლები მუხტი. თავად ეთნიკურად აზერბაიჯანელი ახალგაზრდები საქართველოსა და აზერბაიჯანს შორის მსგავსებებს თითქმის ვერ ხედავენ.

რაც შეეხება საქართველოს როლს სამხრეთ კავკასიაში, რესპონდენტთა ნაწილის აზრით, საქართველოს როლი არ შეცვლილა, ნაწილი კი მიიჩნევს, რომ შემცირდა. იშვიათად ფიქსირდება მოსაზრება, რომ საქართველოს როლი გაიზარდა.

...განსაკუთრებით 90-იან წლებში იყო დაკნინებული განსაკუთრებით [საქართველოს როლი სამხრეთ კავკასიაში] და იმ პერიოდიდან მოყოლებული ძალიან დიდი ნახტომი გვაქვს და შეიძლება ვთქვათ, რომ სამხრეთ კავკასიაში ერთადერთი თუ არა ერთ-ერთი მოწინავე ქვეყანა ვართ. გარდა ამისა, ევროპისკენ სვლამ ბევრი რამე შეგვამატა და უფრო გაგვაძლიერა და უფრო გამოკვეთა ამ ორი სახელმწიფოსგან (მამაკაცი, 23, უმაღლესი განათლება, ეთნიკურად ქართველი, აჭარა).

მონაწილეთა აზრით, საქართველო არაერთი მიმართულებით ლიდერობდა რეგიონში, როგორც მთავარი სატრანზიტო დერეფანი, როგორც „კულტურული ცენტრი“ და სხვა. თუმცა ბოლო წლების განმავლობაში წამყვანი პოზიცია დაკარგა როგორც დემოკრატიული განვითარებისა და ევროატლანტიკური კურსის შესუსტების, ისე კულტურული და ეკონომიკური განვითარების თვალსაზრისით. მონაწილეები შეეხნენ საქართველოს დიპლომატიურ როლსაც ყარაბაღის კონფლიქტის ჭრილში, რამაც ცხადყო, რომ საქართველოს როგორც პოლიტიკური, ისე სამხედრო თვალსაზრისით, რეგიონში გავლენა არ აქვს.

...მგონია, რომ უფრო მყარი პოზიცია გვქონდა და უფრო ვითვლებოდით განვითარებისკენ მიმავალ გზაზე და, ნუ, შეიძლება, ვიღაცა ჩვენგან მაგალითებს იღებდა და დღეს უკვე რომ ხედავს, რომ ჩვენ, ფაქტობრივად, აქეთ ვინმეს დავეხმაროთ კი არა, ჩვენ გვჭირდება ყველას დახმარება... ანუ, ეს ჩათვალეთ, როგორც პიროვნებებს რომ შევხედოთ, ვიღაცას რომ ხედავ, რომ ძლიერია და ვითარდება და შეგიძლია რაღაც რჩევა კითხო, იმას უფრო დიდ მნიშვნელობას ანიჭებ და ეხლა რომ ხედავ, რომ ვიღაც მიწაზე ეცემა ნელ-ნელა, იმისი აღარ გაინტერესებს იმდენად, ხო? ეგრე ხდება, ჩემი აზრით, დღეს ამ რეგიონში (მამაკაცი, 21, უმაღლესი განათლება/სტუდენტი, ეთნიკურად ქართველი, შიდა ქართლი).

3.2.5. ახალგაზრდების პრობლემები, პოლიტიკური აქტივიზმი და პოლიტიკური იდეოლოგიების აღქმა

ახალგაზრდების წინაშე მდგარი პრობლემებისა და გამოწვევების აღქმა განსხვავდება რეგიონების მიხედვით, თუმცა, ყველაზე ხშირად დასახელებული საკითხები ყველა რეგიონში მეორდება. ასეთია, მაგალითად, ეკონომიკური პრობლემები, უმუშევრობა, დაბალანაზღაურებადი სამუშაო ადგილები, განათლების დაბალი დონე, დაბალი სამოქალაქო აქტიურობა და ინერტულობა.

უმუშევრობის პრობლემა ახალგაზრდებში სახელდება როგორც ქვეყნის მასშტაბით, ისე ადგილობრივ დონეზე არსებულ გამოწვევებს შორის. ახალგაზრდები მიიჩნევენ, რომ დასაქმების ის მწირი შესაძლებლობებიც კი, რომლებიც ახალგაზრდებს აქვთ, ძირითადად, თავმოყრილია დედაქალაქში და რეგიონებსა თუ სოფლებში დასაქმების არანაირი პერსპექტივა არ არის, რაც სოფლების დაცარიელებაზეც ახდენს გავლენას. ზოგიერთი მონაწილე ამ საკითხს უკავშირებს განათლებაზე არათანაბარი ხელმისაწვდომობის პრობლემას და მიიჩნევს, რომ განათლება უნდა ფინანსდებოდეს არა მხოლოდ იმ სტუდენტებისთვის, რომელთაც კარგი ქულები აქვთ, არამედ იმათთვისაც, ვისაც არ ჰქონია წვდომა ხარისხიან განათლებაზე ან ინდივიდუალურ რეპეტიტორთან მომზადებაზე. შედარებით ხელმისაწვდომად მიიჩნევა საშუალო განათლება, მაგრამ აქ სახელდება ხარისხის პრობლემა, განსაკუთრებით, მასწავლებლების კვალიფიკაციასთან დაკავშირებით. დასაქმებისა და განათლების პრობლემებთან ერთად, ახალგაზრდებს არ აქვთ თვითრეალიზების საშუალებები.

უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ ახალგაზრდებს, რომლებიც სოფლებში ცხოვრობენ, არ აქვთ შესაძლებლობა დასაქმდნენ. ამიტომ, ისევ ქალაქებში დაბრუნება უწევთ და იმ ქალაქებშიც კიდევ მიზერულ ხელფასზე უწევთ მუშაობა და ვერ ვითარდებიან კარიერულად. რაც სოფლის დაცლასაც იწვევს და ეს პრობლემა დღეს ზემო სვანეთში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რადგან სოფლები იცლება ახალგაზრდებისაგან და რა ვიცი, ბევრი სოფელი უკვე დაცლილია, და მომავალში შეიძლება დავკარგოთ ჩვენი კულტურა და ტრადიციები მაგის გამო (მამაკაცი, 21, უმაღლესი განათლება, ეთნიკურად ქართველი, სვანეთი).

თბილისს გარეთ, არა მარტო სოფლის ტიპის დასახლებებში, არამედ ქალაქებშიც, დასახელდა საგზაო ინფრასტრუქტურისა და ტრანსპორტის პრობლემა, რაც ახალგაზრდებს ხელს უშლის სოციალურ ცხოვრებაში. ტრანსპორტთან ერთად დასახელდა სხვა საკითხებიც - ახალგაზრდული სივრცეების, კულტურული სივრცეების (კინო, თეატრი, გამოფენები, კულტურული საღამოები, ა.შ.), რეკრეაციული და გასართობი ზონების (პარკები/სკვერები, გასართობი პარკები), სპორტული ინფრასტრუქტურის ნაკლებობა. ზოგიერთ რეგიონში აღინიშნა ელექტროენერგიასა და ინტერნეტზე წვდომის შეზღუდვები, რაც ახალგაზრდებს ბევრ დაბრკოლებას უქმნის, განსაკუთრებით, პანდემიის პირობებში, როდესაც სასწავლო პროცესმა და ბევრმა აქტივობამ ონლაინ სივრცეში გადაინაცვლა.

სივრცეები არ არსებობს თელავში ახალგაზრდების და ამას ისე იგებენ ხოლმე ხშირად, რომ რაღაც კლუბები და ბარები გვინდა მარტო... აი, მაგალითად, თელავში ძაან ბევრი ახალგაზრდები, და ბავშვები დადიან სკეიტებით და ერთი სკეიტ პარკიც არ არის, რომ შეიკრიბონ... განათებაც არ არის და რვაზე, ცხრაზე იშლებიან ხოლმე... (მამაკაცი, 25, უმაღლესი განათლება, ეთნიკურად ქართველი, თელავი).

როგორც ქვეყნის გამოწვევების, ისე ახალგაზრდების პრობლემების აღწერისას, ზოგიერთ რეგიონში დასახელდა ქურდული/ქუჩის მენტალიტეტი, ქურდული ცხოვრების წესი, რასაც ახალგაზრდები საკმაოდ პატარა ასაკიდანვე მისდევენ. აღინიშნა მარიხუანას და ალკოჰოლის ჭარბი მოხმარების პრობლემაც. ზოგიერთი მონაწილე მიიჩნევს, რომ დეკრიმინალიზაციამ ეს პრობლემა კიდევ უფრო გაამწვავა. მწვავე პრობლემად დასახელდა ახალგაზრდებში სხვა ნარკოტიკული საშუალებების მოხმარების სიჭარბეც.

ჩემთვისაც ქუჩის მენტალიტეტი ძალიან დიდ პრობლემას წარმოადგენს და სამწუხაროდ, ძალიან ბევრი მყავს ირგვლივ, არასრულწლოვან ბავშვებზე მაქვს საუბარი, რომლებიც მაგ კუთხით მიდიან და უკვე მაგით ცხოვრობენ. ჩემი გადმოსახედიდან, [ახალგაზრდებს პოლიტიკა] საერთოდ არ აინტერესებთ და მათთვის მთავარია პოლიტიკაში იყოს ის, ვინც მათ ქურდულ მენტალიტეტს გაიგებს (ქალი, 23, უმაღლესი განათლება, ეთნიკურად ქართველი, ქუთაისი).

მიუხედავად იმისა, რომ რაოდენობრივი გამოკითხვის შედეგების მიხედვით, ახალგაზრდების დიდი ნაწილი (57%) თავიანთ თანატოლებს პოლიტიკურად ნაწილობრივ აქტიურებად მიიჩნევს, ფოკუს ჯგუფის მონაწილეებთან სხვა შედეგი გვაქვს. მათი დიდი ნაწილი აღნიშნავს, რომ ახალგაზრდები ნაკლებად ან საერთოდ არ არიან ჩართულები სამოქალაქო და პოლიტიკურ ცხოვრებაში. პოლიტიკაში მონაწილეობის მიმართ დაბალ ინტერესს, ძირითადად, ხსნიან პოლიტიკური სპექტრის უცვლელობითა და არჩევანის უქონლობით, არჩევნების მუდმივად გაყალბების მოლოდინით. ქვეყნის ვითარებიდან გამომდინარე, ახალგაზრდებს ნიჰილიზმისა და უიმედობის განცდა აქვთ. ახალგაზრდების აზრით, მიმდინარე პოლიტიკური მოვლენებით დაინტერესება მეტია, ვიდრე მონაწილეობა. ახალგაზრდები იმასაც აღნიშნავენ, რომ პოლიტიკურ ცხოვრებაში მონაწილეობა არ ნიშნავს მაინცდამაინც რომელიმე პარტიაში გაწევრიანებას, არამედ გაცნობიერებას ქვეყნის

პოლიტიკურ ცხოვრებაში და ინფორმირებული არჩევანის გაკეთებას, მაგალითად, არჩევნების დროს.

> *მინიმალურად არიან ახალგაზრდები პოლიტიკურ პროცესებში ჩართულები... ისედაც ცოტა ხალხი დადის არჩევნებზე და ამ ცოტა ხალხში ახალგაზრდების წილი კიდევ უფრო ცოტა არის. მთავარი გამომწვევი მიზეზი ამის, ალბათ, ის არის, რომ როცა ხედავენ რა პოლიტიკური პროცესებიც მიმდინარეობს ქვეყანაში, უიმედობის შეგრძნება აქვთ, ნიჰილიზმი და ა.შ. და შესაბამისად თვლიან, რომ არაფერი გამოსწორდება და ამიტომ არის მინიმალური ჩართულობა ყოველთვის. ჩემი აზრით, [ახალგაზრდები ინფორმაციას] იღებენ იმიტომ, რომ დღევანდელ რეალობაში ვერ წარმომიდგენია რაიმე გაინტერესებდეს და ვერ ნახო, მით უმეტეს, სოციალური ქსელებიდან. ეს საინფორმაციო ქსელებიც ბევრია, შეუძლებელია, რომ ვერ მიიღონ, ეგ არ მგონია პრობლემა, პრობლემა ეგ მგონია, რომ როდესაც ხედავენ, რა ხდება, ინფორმაციის მიღების შემდეგ უიმედობის განცდა ეუფლებათ და, შესაბამისად, ინტერესი აღარ აქვთ (მამაკაცი, 25, უმაღლესი განათლება, ეთნიკურად ქართველი, ქუთაისი).*

აღინიშნა ისიც, რომ პოლიტიკურ პარტიებში ახალგაზრდების ნაკლებობაა, რის გამოც ადგილობრივ ხელისუფლებაშიც ნაკლებად არიან ახალგაზრდები წარმოდგენილნი. თუკი არიან, მათ მიმართ საზოგადოების ნდობა დაბალია და არჩევნების დროს უპირატესობა კვლავ საშუალო ასაკის ან ხანშიშესულ კანდიდატებს ენიჭებათ. პოლიტიკურმა პარტიებმა უნდა დაიწყონ თავიანთი რიგების დაკომპლექტება უფრო ახალგაზრდა და ჯანსაღად მოაზროვნე კადრებით. მნიშვნელოვანია, ასევე, პოლიტიკური პარტიების საარჩევნო პროგრამები და კამპანიები მეტად იყოს ორიენტირებული ახალგაზრდების ინტერესებსა და საჭიროებებზე, რომ ახალგაზრდების მონაწილეობა არჩევნებში გაიზარდოს. ახალგაზრდების მოსვლა პოლიტიკაში მნიშვნელოვანია იმ პოლიტიკოსების ჩასანაცვლებლად, რომლებიც ისევ საბჭოთა მენტალიტეტის მატარებელნი არიან.

> *რაიონის თვითმართველობის არჩევნები როცა არის და როცა კომპლექტდება თვითმმართველობა, საზოგადოება უფრო უპირატესობას ანიჭებს ასაკოვან ადამიანს, ვიდრე ახალგაზრდას. მაგალითად, არჩევნებში რომ იყო მონაწილე, ერთადერთი მიზეზის გამო არ დაგიჭერენ მხარს, რომ ხარ ახალგაზრდა. ეს ხდება ჩვენ საზოგადოებაში და სახელმწიფოს მხრიდან შევცვლიდი იმას, რომ ვისურვებდი თვითმართველობაში მეტ ახალგაზრდობას (ქალი, 28, უმაღლესი განათლება, ეთნიკურად ქართველი, იმერეთი).*

მიუხედავად იმისა, რომ პოლიტიკურ და სამოქალაქო ცხოვრებაში ახალგაზრდების პასიურობასთან დაკავშირებით ფოკუს ჯგუფების მონაწილეთა დიდი ნაწილი თანხმდება, გარკვეული ნაწილი მიიჩნევს, რომ წინა თაობებთან შედარებით, ახალგაზრდები დღეს მეტად გააქტიურებულები არიან. ზოგი კი მიიჩნევს, რომ თუკი წინა წლებში, ძირითადად, წინა თაობები იყვნენ აქტიურები, ახლა ახალგაზრდებიც გააქტიურდნენ, მაგალითად, საპროტესტო აქციებში მეტად მონაწილეობენ. პრობლემა უფრო იმაში მდგომარეობს, რომ მათ სიტყვას „ნაკლებად აქვს ძალა“.

ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ მოვლენებზე ინფორმაციის მიღებასთან დაკავშირებით აზრები იყოფა. თითქმის არავინ უარყოფს, რომ ინფორმაციაზე წვდომა დღევანდელ საქართველოში პრობლემა არ არის, თუმცა პრობლემურია ობიექტურ ინფორმაციაზე წვდომა, ვინაიდან მედიასაშუალებების უმეტესობა მიკერძოებულია. ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი ახალგაზრდები როგორც ინფორმაციაზე წვდომის, ისე პოლიტიკური მონაწილეობის ერთ-ერთ გამოწვევად ასახელებენ ენობრივ ბარიერსაც.

ფოკუს ჯგუფების მონაწილეები მიიჩნევენ, რომ სახელმწიფომ მეტი აქცენტი უნდა გააკეთოს ახალგაზრდების საჭიროებებზე და გარკვეული ნაბიჯები უნდა გადადგას იმისთვის, რომ ახალ-გაზრდების პოლიტიკური და სამოქალაქო აქტიურობა გაიზარდოს. ამის ერთ-ერთ გზად სახელდება კამპანიები, რაც შეიძლება სოციალური ქსელების საშუალებით აწარმოონ როგორც სახელმწიფომ, ისე პოლიტიკურმა პარტიებმა. მონაწილეთა ნაწილი გამოყოფს განათლების როლს და აღნიშ-ნავს, რომ ახალგაზრდების დაინტერესება და გათვითცნობიერება პოლიტიკურ საკითხებში უნდა იწყებოდეს სკოლიდანვე.

> *აი, მაგალითად, სამოქალაქო განათლება არის საგანი სკოლაში, მეტად ინფორმირებულნი გახადონ და ასწავლონ ბავშვებს რამხელა სარგებლის მოტანა შეუძლია მის, ვთქვათ, საჯარო ხელისუფლებაში მონაწილეობას და ა.შ. არის საკითხები, რომელსაც სამოქალაქო განათლება ითვალისწინებს და მეტად ინფორმირებულები უნდა იყვნენ ბავშვები, რომ შემდეგ ავაშენოთ ის საზოგადოება, რომელიც გვინდა (მამაკაცი, 26, უმაღლესი განათლება/ სტუდენტი, ეთნიკურად ქართველი, კახეთი).*

ფოკუს ჯგუფის მონაწილეთა ნაწილი ნაკლებად არის გათვითცნობიერებული პოლიტიკურ იდეო-ლოგიებში და ნაკლებად იცნობს ქართული პოლიტიკური პარტიების იდეოლოგიებს. ნაწილი კი მეტად არის გათვითცნობიერებული ამ საკითხებში, თუმცა ახალგაზრდებში საკმაოდ იშვიათია მკვეთრად გამოხატული იდეოლოგიური მიკუთვნებულობა. ყველაზე ხშირად ახალგაზრდები ასახელებენ ლიბერალიზმს. ერთეულებმა ახსენეს როგორც ზოგადად მემარცხენე, ისე - მემარჯვენე თუ ცენტრისტული იდეოლოგიები, უფრო კონკრეტულადაც დასახელდა ლიბერტარიანიზმი და კონსერვატიზმი, შედარებით იშვიათად - სოციალ-დემოკრატია, თუმცა იდეოლოგიური მიკუთვნე-ბულობა იშვიათად არის არგუმენტირებულად ახსნილი. ვინც საკუთარ შეხედულებებთან ახლოს ლიბერალიზმსა და ლიბერტარიანიზმს ასახელებს, ამის არგუმენტად მოჰყავს პიროვნების, სიტ-ყვისა და საკუთრების თავისუფლების პატივისცემა, კონსერვატიზმის მომხრეებს კი - ტრადიციების პატივისცემა.

ახალგაზრდები აღნიშნავენ, რომ საქართველოში პოლიტიკური პარტიები ნაკლებად მისდევენ მათ მიერ ოფიციალურად გაცხადებულ იდეოლოგიას, რასაც მათთვის მხოლოდ ფასადური დატვირთვა აქვს; რომ ქართული პარტიების იდეოლოგია „ფულის კეთება“, „დაყავი და იბატონეა“; რომ პარტიები ხშირად არიან პოპულისტური, უხვევენ გაცხადებულ იდეოლოგიასა თუ გეზს და „ყველაფერს კადრულობენ“ იმისთვის, რომ საკუთარ მიზნებს მიაღწიონ.

> *სამწუხაროდ, იდეოლოგიების მიმართ დღეს ჩვენი პოლიტიკური პარტიები ერთგული არ არიან. არიან პოპულისტები და მოსახლეობაზე აკეთებენ აქცენტს, როგორ მიიღონ ხმები. არცერთი დიდი პოლიტიკური ჯგუფი არ არის რაიმე იდეოლოგიის მიმართ ერთგული და მუდმივად იცვლება მათი იდეოლოგია. რაც აწყობთ იმ მომენტისთვის იმას იყენებენ (მამაკაცი, 28, უმაღლესი განათლება, ეთნიკურად ქართველი, სვანეთი).*

აღინიშნა ისიც, რომ ქართველები ნაკლებად ერკვევიან იდეოლოგიებში და იდეოლოგიური ნიშნით ნაკლებად აძლევენ ხმას რომელიმე პარტიას. ზოგიერთი ახალგაზრდა იდეოლოგიაზე საუბრისას აცხადებს, რომ მათთან ყველაზე ახლოს დგას „დემოკრატია“, რასაც არცერთი პარტია „არ ასრულებს“. ამ თემაზე საუბრისას ახალგაზრდებს ყველაზე ხშირად ახსენდებათ პარტია „გირჩი“, რომელიც, მონაწილეთა ნაწილის ინფორმაციით, ლიბერტარიანულია. „გირჩის“ გარდა, ცალკეული პარტიების პარტიულ იდეოლოგიებს ახალგაზრდები ვერ ასახელებენ, თუმცა, ზოგადად აღნიშნავენ, რომ ქართული პარტიები კონსერვატიზმთან ახლოს დგანან.

ჩემთან ყველაზე ახლოს არის ლიბერტარიანიზმი, კლასიკური ლიბერალიზმი ერქვა ადრე და პოლიტიკურ პარტიებს რაც შეეხება, არცერთს [აქვს ეს იდეოლოგია], ერთის გარდა, გირჩის, რადგან გირჩი არის კლასიკური ლიბერალიზმის პარტია. ჩვენთან [პარტიები] უფრო ახლოს არიან კონსერვატიზმთან (მამაკაცი, 25, უმაღლესი განათლება, ეთნიკურად ქართველი, ქუთაისი).

3.2.6. ოკუპირებული რეგიონების კონფლიქტის დარეგულირება და საგარეო პოლიტიკის შეფასება

ოკუპირებული ტერიტორიების კონფლიქტის დარეგულირებასთან დაკავშირებით ჟღერდება საკმაოდ ნიჰილისტური დამოკიდებულება, თუმცა მონაწილეები მაინც საუბრობენ როგორც კონ-ფლიქტში მონაწილე მხარეების, ისე სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციის როლზე კონ-ფლიქტის მოგვარებაში.

ხშირად განიხილება რუსეთის ფაქტორი, რასთან დაკავშირებითაც ახალგაზრდების აზრები იყოფა. ნაწილს მიაჩნია, რომ აუცილებელია რუსეთთან კომუნიკაცია და დიპლომატიური ურთიერთობები, ურთიერთობების დარეგულირება, ვინაიდან ძლიერი ქვეყანაა და მისი გაღიზიანებით საქართველო ვერაფერს გახდება, ნაწილი კი - პირიქით, მიიჩნევს, რომ ქვეყანა არ უნდა ერიდებოდეს რუსეთის გაღიზიანებას და უფრო მკვეთრი ნაბიჯები უნდა გადადგას. გამოითქვა მოსაზრებაც, რომ რუსეთში ხელისუფლების ცვლილებამ შეიძლება ოკუპირებულ ტერიტორიებთან მიმართებითაც გამოიწვიოს ცვლილებები, ვინაიდან ისტორიული გამოცდილება აჩვენებს, რომ ძლიერი დიქტატორების ხელისუფლებიდან წასვლა ცვლილებებს უკავშირდება. მეორე მხრივ, ახალგაზრდების ნაწილი მიიჩნევს, რომ რუსეთთან ურთიერთობის საუკუნეების გამოცდილებამ აჩვენა, რომ რუსეთთან დიპლომატიური ურთიერთობა შეუძლებელია და რუსეთი არ არის სანდო ძალა.

ნატოზე საუბრისას აღინიშნა, რომ ნაკლებ სავარაუდოა, მან რაიმე როლი ითამაშოს კონფლიქტის დარეგულირებაში, ვინაიდან ნატო საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებით არ მიიღებს. ამიტომ, ახალგაზრდების რწმენით, საქართველომ ან ტერიტორიები უნდა დაიბრუნოს და ისე შევიდეს ნატოში, ან ნატოში შესვლის ფასად, უარი უნდა თქვას ოკუპირებულ ტერიტორიებზე. თუმცა, ნატო-ს წევრობა შეიძლება ქვეყნისთვის უსაფრთხოების, რუსეთის აგრესიისა და მეტი ტერიტორიის დაკარგვისგან დაცვის გარანტია იყოს. მონაწილეების მეორე ნაწილი აღნიშნავდა იმასაც, რომ ნატოში შესვლა პირიქით, რუსეთისგან მეტ აგრესიას გამოიწვევს. კონფლიქტების მოგვარების პროცესი შეიძლება დააჩქაროს ევროინტეგრაციამ, თუმცა ამის არგუმენტები ნაკლე-ბად დასახელდა.

ზოგადად, ახალგაზრდები კონფლიქტის მოგვარების უფრო დიპლომატიური გზებისკენ იხრებიან. იმ დროს, როდესაც ტერიტორიების მოლაპარაკებებით დაბრუნების პერსპექტივაზეა საუბარი, მონაწილეები აღნიშნავენ, რომ საჭიროა მოლაპარაკებები როგორც სეპარატისტულ მთავრობებთან, ისე რუსეთთან.

ჩემი აზრით, ომით და იარაღით რუსეთთან ურთიერთობის მოგვარებას ვერ მოვახერხებთ, რადგან რუსეთი ისეთი სახელმწიფოა, რომ, ანუ, ნახევარ მსოფლიოსაც კი გაუჭირდება მასთან დაპირისპირება. ამიტომ, ჩემთვის მიუღებელია ბრძოლით მათთან ურთიერთობის მოგვარება... მოლაპარაკებებია ჩემთვის მთავარი, რა, სხვა გზას ეხლა რუსეთთან ურთიერთობის და დაკარგული ტერიტორიების დაბრუნების ვერ ვხედავ (მამაკაცი, 20, უმაღლესი განათლება/ სტუდენტი, ეთნიკურად ქართველი, სამეგრელო).

წეღან ახსენეს, რომ ჯარი რაც არ უნდა ძლიერი გვყავდეს, არ მიმაჩნია სწორ საქციელად, რომ სამხედრო გზით დავიბრუნოთ ტერიტორიები. ყველაზე კარგი არის მოლაპარაკების გზით, თუმცა არ უნდათ, როგორც ვიცი, [აფხაზებსა და ოსებს] ჩვენთან შემოერთება და ჩვენთან ყოფნა (ქალი, 23, უმაღლესი განათლება, ეთნიკურად ქართველი, რაჭა).

ტერიტორიების დასაბრუნებლად რუსეთთან სამხედრო დაპირისპირების იდეას ახალგაზრდები, უმეტესწილად, ეწინააღმდეგებიან, ვინაიდან მიიჩნევენ, რომ საქართველოსნაირი პატარა ქვეყანა ვერაფერს გახდება რუსეთის სამხედრო ძალის წინააღმდეგ, და ამის მაგალითად მოჰყავთ 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომიც. მიუხედავად ამისა, ახალგაზრდების მცირე ნაწილი ემხრობა ტერიტორიების ძალისმიერი გზით დაბრუნებას, რისთვისაც აუცილებლად მიიჩნევს ქვეყნის სამხედრო გაძლიერებას. ეს, მათი აზრით, კიდევ უფრო მეტი ტერიტორიის დაკარგვისგანაც დაიცავს ქვეყანას.

კონფლიქტების დარეგულირების პროცესში ახალგაზრდები მნიშვნელოვნად მიიჩნევენ საქართველოს ეკონომიკურ და დემოკრატიულ განვითარებას. თუკი საქართველო ეკონომიკურად და დემოკრატიულად მიმზიდველი იქნება, აფხაზებსა და ოსებს თავად მოუნდებათ საქართველოში დაბრუნება. დასახელდა საინფორმაციო კამპანიების მნიშვნელობაც, რომ ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრებ ახალგაზრდებს მივაწოდოთ ინფორმაცია, თუ რა კარგია „თავისუფალ სამყაროში“ ცხოვრება. ზოგჯერ, ეკონომიკური და დემოკრატიული თვალსაზრისით მიმზიდველობის მისაღწევად სახელდება ევროკავშირში გაწევრიანების მნიშვნელობაც. მოსაზრებები გამოითქვა ავტონომიის მინიჭებასთან დაკავშირებით. როგორც წესი, მონაწილეები ამის წინააღმდეგნი არ არიან, გარდა იშვიათი შემთხვევებისა.

თავად ოკუპირებული ტერიტორიების როლს რაც შეეხება, გამოითქვა მოსაზრება, რომ სანამ აფხაზები და ოსები თავად არ მოინდომებენ საქართველოსთან დაბრუნებას, არაფერი შეიცვლება. ამისთვის უნდა მოვიდეს ისეთი თაობა, რომელიც კარგად გაიაზრებს რუსეთის ფაქტორს და ალტერნატივად საქართველოს აირჩევს, მაგრამ ეს ნაკლებად სავარაუდოა. ეს იმ შემთხვევაში მოხდება, თუკი საქართველო აირჩევს მეგობრულ, დიპლომატიურ, მშვიდობიან გზას კონფლიქტების მოსაგვარებლად.

2008 წლის ომი ნათელი მაგალითია, რომ სამხედრო თვალსაზრისით [რუსეთს] ვერაფერს დავაკლებთ, მით უმეტეს, ჩვენზე ასჯერ დიდი ქვეყანაა და სამხედრო ტექნიკაც ჩვენზე განვითარებული აქვს. უფრო მოლაპარაკებები... აქ ყველაზე მთავარი არის... თვითონ აფხაზებს და ოსებს არ სურთ ჩვენთან ყოფნა ჩვენ შემადგენლობაში. მარტო პოლიტიკური და ხელისუფლების დანაშაულიც არ არის, მათაც არ მიაჩნიათ, საქართველოს შემადგენლობაში რომ უნდა იყვნენ (ქალი, 24, უმაღლესი განათლება, ეთნიკურად ქართველი, რაჭა).

მონაწილეები მიიჩნევენ, რომ დღევანდელი ხელისუფლება საერთაშორისო ასპარეზზე ნაკლებად წარმატებულია. ერთ-ერთი მონაწილე აღნიშნავს, რომ ამჟამინდელი ხელისუფლება „ყველაზე წარუმატებელია, რაც გვყოლია“. მონაწილეები იხსენებენ კონკრეტულ მომენტებს ამჟამინდელი ხელისუფლების მოღვაწეობიდან, რაც საერთაშორისო ასპარეზზე მათ წარუმატებლობაზე მეტყველებს, მაგალითად, აშშ-ის ხელისუფლებისგან მიღებული „გამკიცხავი, თითის ქნევის“ წერილები, დავითგარეჯასთან დაკავშირებული დაძაბულობა, 19 აპრილის შეთანხმების დარღვევა, რაც ევროპასთან პოლიტიკურ ურთიერთობაზე ცუდად აისახება. აღინიშნა ისიც, რომ 2021 წლის ივნისში „პრაიდის” შედეგად განვითარებულმა მოვლენებმა საქართველოს საერთაშორისო ასპარეზზე „თავი მოჭრა“. წარმატების მაგალითად ახალგაზრდები მიიჩნევენ ვიზალიბერალიზაციას, სხვა მაგალითები კი თითქმის არ სახელდება.

4. დასკვნები (რაოდენობრივი და თვისებრივი კომპონენტების შეჯამება)

მოცემული ანგარიში საქართველოში მცხოვრები 18-დან 29 წლის ჩათვლით ახალგაზრდების პოლიტიკურ აქტივიზმსა და ღირებულებებს ეხება. უფრო კონკრეტულად, ანგარიშში წარმოდგენილია საქართველოში მცხოვრები ახალგაზრდების აღქმები და შეფასებები შემდეგ საკითხებთან დაკავშირებით:

- **საკუთარი და თანატოლების პოლიტიკური მონაწილეობა და აქტივიზმი;**
- **ქვეყანაში არსებული მდგომარეობა;**
- **რელიგიური ინსტიტუტების გავლენა და დაფინანსების საკითხები;**
- **ქვეყნის საგარეო კურსი;**
- **ოკუპირებულ ტერიტორიებთან დაკავშირებული საკითხები;**
- **საქართველოსთვის მნიშვნელოვანი და ნაკლებად მნიშვნელოვანი ღირებულებები;**
- **საქართველოს მსგავსება და განსხვავება სხვა ქვეყნებთან;**
- **სამხრეთ კავკასიის რეგიონი;**
- **პოლიტიკური იდეოლოგიები;**
- **საკუთარი იდენტობის გააზრება.**

ანგარიშის ქვეთავებში წარმოდგენილი მონაცემთა ანალიზი შემდეგი დასკვნების გაკეთების საშუალებას გვაძლევს:

რაოდენობრივი მონაცემების ანალიზის შედეგად მიღებული დასკვნები:

- რაოდენობრივი გამოკითხვის შედეგად გამოჩნდა, რომ ახალგაზრდების ორი მესამედი საკუთარი თანატოლების პოლიტიკური აქტივობის ხარისხს საკმაოდ დადებითად აფასებს. ის ახალგაზრდები, რომლებიც თვლიან, რომ მათი თანატოლები დიდად ან საერთოდ არ არიან ჩართულნი ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ მოვლენებში (ჯამში 28%) ამის მიზეზად ყველაზე ხშირად ასახელებენ პოლიტიკით ნაკლებ დაინტერესებას (41%) და სხვა პრობლემებზე (მაგ. სწავლა, სამსახური და ა.შ.) დარდს (29%).
- საქართველოში ახალგაზრდები თვლიან, რომ მათი თანატოლები საკუთარ აზრს აქციებზე გასვლით რამდენიმე შემთხვევაში აფიქსირებენ: ადამიანის უფლებების ან თავისუფლების შეზღუდვის შემთხვევაში (46%), რუსულ ოკუპაციასთან დაკავშირებული საკითხების შემთხვევასა (35%) და პრორუსული ქმედებების შემთხვევაში (მაგ. გავრილოვის ჩამოყვანა) (28%). ეს სამივე პასუხი დედაქალაქში მცხოვრებმა ახალგაზრდებმა უფრო ხშირად დაასახელეს, ვიდრე სოფლის ტიპის დასახლებაში მცხოვრებმა ახალგაზრდებმა. ამასთან, ადამიანის უფლებები და თავისუფლების შეზღუდვა ახალგაზრდა ქალებმა უფრო ხშირად ახსენეს (52%), ვიდრე ახალგაზრდა კაცებმა (40%).
- ახალგაზრდების დიდი ნაწილი პოლიტიკურად აქტიური მხოლოდ არჩევნების დროს აღმოჩნდა: 67%-მა განაცხადა, რომ მონაწილეობა მიიღო 2020-ის საპარლამენტო არჩევნებში. დედაქალაქთან შედარებით (60%), სხვა ქალაქებსა (69%) და სოფლის ტიპის დასახლებებში (71%) უფრო მეტმა ახალგაზრდამ თქვა, რომ მონაწილეობა მიიღო 2020 წლის არჩევნებში. ამასთან, მხოლოდ 29%-მა თქვა, რომ ამჟამად საქართველოში არის ისეთი პოლიტიკური პარტია, რომელიც მათ შეხედულებებთან ახლოს დგას.
- რაოდენობრივ კითხვარში ჩამოთვლილი ღირებულებებიდან ყველაზე ხშირად დასახელდა ქვეყნის უსაფრთხოება (47%), ადამიანის უფლებები (40%), პირადი უსაფრთხოება (30%) და ეკონომიკური კეთილდღეობა (25%). ახალგაზრდა მამაკაცებთან შედარებით, ახალგაზრდა ქალების უფრო დიდი ნაწილისთვის ღირებული აღმოჩნდა ადამიანის უფლებები (46%, 34%-თან შედარებით) და პირადი უსაფრთხოება (35%, 25%-თან შედარებით). დედაქალაქთან შედარებით,

სოფლის ტიპის დასახლებებში უფრო ხშირად დაასახელეს ქვეყნის უსაფრთხოება (51%, 41%-თან შედარებით), ხოლო დედაქალაქში მცხოვრებ ახალგაზრდებს უფრო ღირებულად მიაჩნიათ ეკონომიკური კეთილდღეობა და კანონის უზენაესობა.

- საქართველოში არსებული პრობლემების დასახელებისას, ახალგაზრდებმა ყველაზე ხშირად ეკონომიკური და/ან სოციალური საკითხები (46%) ახსენეს. მას მოჰყვა განათლება (28%), სამხრეთ ოსეთის და აფხაზეთის ტერიტორიები/ მათი ოკუპაცია (26%) და ჯანდაცვა (კოვიდის ჩათვლით) (24%). ხოლო ის სფეროები, რომელთა განვითარებასაც, ახალგაზრდების აზრით, ხელისუფლებამ უნდა შეუწყოს ხელი, შემდეგია: განათლება (48%), სოფლის მეურნეობა (33%) და სამედიცინო სფერო/ჯანდაცვა (25%).
- ახალგაზრდების დიდი ნაწილი (64%) ფიქრობს, რომ ადამიანის უფლებები ნაწილობრივ დაცულია; მხოლოდ 8% ფიქრობს, რომ დიდწილად დაცულია; ხოლო ერთ მეოთხედზე მეტი (27%) მიიჩნევს, რომ არ არის დაცული. სოფლის მოსახლეობასთან შედარებით (21%), ქალაქსა (31%) და დედაქალაქში (32%) ახალგაზრდები მეტად ფიქრობენ, რომ ადამიანის უფლებები საქართველოში არ არის დაცული.
- ახალგაზრდების ერთმა მესამედმა (33%) თქვა, რომ „ქურდული სამყარო" 2012 წლამდე პერიოდთან შედარებით, ნაკლებად პოპულარულია საქართველოში, ხოლო მსგავსმა რაოდენობამ (32%) აღნიშნა, რომ უფრო პოპულარულია. დედაქალაქში (39%), სხვა ქალაქებთან (30%) და სოფლის ტიპის დასახლებებთან (29%) შედარებით, უფრო მეტი ახალგაზრდა ფიქრობს, რომ „ქურდული სამყარო" 2012 წლამდე პერიოდთან შედარებით, ნაკლებად პოპულარულია.
- ახალგაზრდების 62%-ის აზრით, მართლმადიდებლურ ეკლესიას ძალიან დიდი (28%) ან დიდი (34%) გავლენა აქვს საქართველოს მოსახლეობაზე. ამასთან, ისლამის, როგორც რელიგიის, გავლენა საქართველოს მოსახლეობაზე, ახალგაზრდების აზრით, საკმაოდ მცირეა.
- ახალგაზრდების უმრავლესობა (80%-ზე მეტი) თვლის, რომ საქართველოს ინტეგრაცია ევროკავშირსა და ნატოში მნიშვნელოვანია. ამასთან, ახალგაზრდების დიდი ნაწილი (44%) მიიჩნევს, რომ საქართველოს საგარეო პოლიტიკური კურსი სწორედ დასავლეთისკენ არის მიმართული. თუმცა, ამასთან, თითქმის ერთი მესამედი (30%) ამბობს, რომ ეს კურსი უფრო რუსეთისკენ არის. ახალგაზრდების ორი მესამედისთვის მიუღებელია საქართველოს დღევანდელი პოლიტიკა რუსეთთან მიმართებით. ახალგაზრდების 40%-ისთვის ამერიკის შეერთებული შტატები ქვეყნის მთავარი პოლიტიკური პარტნიორია, ხოლო 68%-ისთვის რუსეთი მთავარი მტერია.
- ახალგაზრდების უმრავლესობისთვის საქართველოს დღევანდელი პოლიტიკა ოკუპირებული ტერიტორიების დასაბრუნებლად არც ისე ეფექტური (30%) ან საერთოდ არაეფექტურია (52%). სოფლის ტიპის დასახლების ახალგაზრდებთან (40%) და ქალაქის ტიპის დასახლების ახალგაზრდებთან (53%) შედარებით, დედაქალაქში მცხოვრები ახალგაზრდების უფრო დიდი პროცენტი (64%) მიიჩნევს, რომ საქართველოს პოლიტიკა ოკუპირებული ტერიტორიების დასაბრუნებლად საერთოდ არ არის ეფექტური.
- ახალგაზრდების უმრავლესობა ამბობს, რომ არასდროს (76%) ან იშვიათად (10%) აქვს ურთიერთობა ადამიან(ებ)თან, ვინც ამჟამად აფხაზეთსა ან სამხრეთ ოსეთში/ცხინვალის რეგიონში ცხოვრობს (ცხოვრობენ) (იგულისხმება როგორც პირისპირი, ისე ინტერნეტით ურთიერთობა). ისინი იშვიათად იღებენ ინფორმაციას, აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთის/ცხინვალის რეგიონში მიმდინარე პროცესების შესახებ. ვინც გარკვეულ ინფორმაციას მაინც იღებს აფხაზეთსა ან სამხრეთ ოსეთის რეგიონში მიმდინარე პროცესების შესახებ, ინფორმაციის ძირითად წყაროდ სოციალურ ქსელებს (72%) ან ტელევიზიას (37%) ასახელებს.

თვისებრივი კვლევის შედეგად მიღებული დასკვნები:

- იმაზე საუბრისას, თუ რა მოსწონთ და რა არა დღევანდელ საქართველოში, ფოკუს ჯგუფების მონაწილეები ქვეყნის ცხოვრების არაერთ ასპექტს ეხებიან. ახალგაზრდებს არ მოსწონთ ქვეყანაში არსებული მძიმე ეკონომიკური, სოციალური და პოლიტიკური ვითარება. ყველაზე ხშირად სახელდება სიღარიბე, უმუშევრობა, დაბალი ხელფასები, განათლების სისტემა, მუდმივი პოლიტიკური დაძაბულობა და გადაუჭრელი კონფლიქტები.
- დადებით ასპექტებს შორის, ძირითადად, ადამიანური ურთიერთობები და ქართული კულტურა სახელდება. დღევანდელ საქართველოში ახალგაზრდებს ყველაზე მეტად მოსწონთ თბილი და ურთიერთდამხმარე ხალხი, საქართველოს ბუნება, ფოლკლორი და სპორტული მიღწევები.
- ბოლო 30 წლის განმავლობაში ყველაზე დადებით ისტორიულ მოვლენად დამოუკიდებლობის აღდგენა, ვარდების რევოლუცია, 2012 წელს ხელისუფლების დემოკრატიული გზით გადაცემა, ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმება და ვიზალიბერალიზაცია დასახელდა. ხოლო უარყოფით მოვლენებს შორის სახელდება დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ განვითარებული კონფლიქტები და ომები, სხვადასხვა ხელისუფლების მიერ მშვიდობიანი დემონსტრაციების დარბევები და საზოგადოებრივი დაპირისპირებები ჰომოფობიის ნიადაგზე.
- ახალგაზრდებს სურთ დემოკრატიულ, სეკულარულ და ეკონომიკურად განვითარებულ ქვეყანაში ცხოვრება, მდგრადი მშვიდობა და განვითარება, ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაცია. სხვა საკითხებთან ერთად ყველაზე ხშირად სახელდება უსაფრთხო და ღირსეული შრომის პირობების, ხარისხიანი და ხელმისაწვდომი განათლების მნიშვნელობა.
- ფოკუს ჯგუფების მონაწილეებს უჭირთ საქართველოში არსებულ ღირებულებებზე არგუმენტირებულად საუბარი და ურთიერთმონაცვლეობით საუბრობენ ქართველი ხალხის ხასიათზე, ტრადიციებსა და ღირებულებებზე. ხშირად სახელდება ადამიანურ ურთიერთობებთან დაკავშირებული ისეთი ღირებულებების შენარჩუნების სურვილი, როგორებიცაა სტუმართმოყვარეობა, ოჯახური ურთიერთობები და ხალხის ერთმანეთის მხარში დგომა. ყველაზე მეტად კი არ ისურვებდნენ „დამახინჯებული“ ტრადიციების შენარჩუნებას.
- ფოკუს ჯგუფების მონაწილეები, დიდწილად, მიიჩნევენ, რომ საქართველო სხვადასხვა კულტურის ნაწილია და გეოგრაფიულადაც ორი კონტინენტის - ევროპისა და აზიის - გასაყარზეა. მონაწილეთა ნაწილი მეტად ევროპის ნაწილად მიიჩნევს საქართველოს, ნაწილი - მეტად აზიის, ნაწილი კი - ორივეს თანაბრად. მიუხედავად განვითარების დონის მიხედვით დიდი განსხვავებისა, მონაწილეების აზრით, ევროპა საქართველოს ისტორიული არჩევანია და რელიგიითა თუ ღირებულებებით საქართველო ახლოს არის ევროპასთან.
- ფოკუს ჯგუფების თითქმის ყველა მონაწილისთვის ქართველობა მნიშვნელოვანი იდენტობაა, თუმცა ხშირად სახელდება იდენტობის რამდენიმე - კუთხური, ეთნიკური, ეროვნული, რეგიონული - შრე. მონაწილეთა ნაწილი ეროვნების წინ აყენებს კუთხურ ან ეთნიკურ მიკუთვნებულობას. რეგიონულ იდენტობაზე საუბრისას კი, ეროვნების შემდეგ ყველაზე ხშირად სახელდება ევროპელობა.
- სამხრეთ კავკასია ერთიან რეგიონად იშვიათად აღიქმება. მიუხედავად იმისა, რომ ახალგაზრდები ხედავენ საერთო მახასიათებლებსა და ღირებულებებს რეგიონის ქვეყნებს შორის, საშინაო თუ საგარეო პოლიტიკური მიმართულება, ეთნიკური და ტერიტორიული კონფლიქტები რეგიონს უფრო ყოფს, ვიდრე აერთიანებს.
- ახალგაზრდების წინაშე მდგარი პრობლემებისა და გამოწვევების აღქმა განსხვავდება რეგიონების მიხედვით, თუმცა ყველაზე ხშირად დასახელებული საკითხები მეორდება ყველა რეგიონში. ასეთია, მაგალითად, ეკონომიკური პრობლემები, როგორიცაა უმუშევრობა და დაბალანაზღაურებადი სამუშაო ადგილები, განათლების დაბალი დონე, დაბალი სამოქალაქო აქტიურობა, ინერტულობა. საკუთარ რეგიონებში ახალგაზრდებს აწუხებთ განუვითარებელი ინფრასტრუქტურა, ძირითადად, ტრანსპორტისა და ახალგაზრდული სივრცეების არარსებობა.

- ფოკუს ჯგუფის მონაწილეთა დიდი ნაწილი მიიჩნევს, რომ ახალგაზრდები ნაკლებად ან საერთოდ არ არიან ჩართულები სამოქალაქო და პოლიტიკურ ცხოვრებაში. პოლიტიკაში მონაწილეობის მიმართ დაბალი ინტერესს, ძირითადად, ხსნიან პოლიტიკური სპექტრის უცვლელობითა და არჩევანის უქონლობით; არჩევნების მუდმივად გაყალბების მოლოდინით; პოლიტიკური პარტიების მხრიდან ინტერესის ნაკლებობით, ჩართონ ახალგაზრდები თავიანთ საქმიანობაში; საზოგადოების დაბალი ნდობით ახალგაზრდა პოლიტიკოსების მიმართ; ისევე, როგორც ახალგაზრდებს შორის დაბალი სამოქალაქო ცნობიერებით. მიუხედავად ამისა, მონაწილეების აზრით, წინა წლებთან შედარებით, ახალგაზრდების მონაწილეობა გაზრდილია.
- ფოკუს ჯგუფის მონაწილეთა ნაწილი ნაკლებად არის გათვითცნობიერებული პოლიტიკურ იდეოლოგიებში და ნაკლებად იცნობს ქართული პოლიტიკური პარტიების იდეოლოგიებს, ნაწილი კი მეტად არის გათვითცნობიერებული ამ საკითხებში, თუმცა მკვეთრად გამოხატული იდეოლოგიური კუთვნილება ახალგაზრდებში საკმაოდ იშვიათია. იდეოლოგიური კუთვნილება იშვიათად არის არგუმენტირებულად ახსნილი. ყველაზე ხშირად ახალგაზრდები ასახელებენ ლიბერალიზმსა და ლიბერტარიანიზმს, რის არგუმენტადაც მოჰყავთ პიროვნების, სიტყვისა და საკუთრების თავისუფლების პატივისცემა.
- მონაწილეთა აზრით, საქართველოში პოლიტიკური პარტიები ნაკლებად მისდევენ მათ მიერ ოფიციალურად გაცხადებულ იდეოლოგიას და იდეოლოგიას მათთვის მხოლოდ ფასადური დატვირთვა აქვს. აღინიშნა ისიც, რომ ქართველები ნაკლებად ერკვევიან იდეოლოგიებში და იდეოლოგიური ნიშნით ნაკლებად აძლევენ ხმას რომელიმე პარტიას.
- ოკუპირებული ტერიტორიების კონფლიქტის დარეგულირებასთან დაკავშირებით ჟღერდება საკმაოდ ნიჰილისტური დამოკიდებულებები. ზოგადად, ახალგაზრდები კონფლიქტის მოგვარების უფრო დიპლომატიური გზებისკენ იხრებიან. როდესაც ტერიტორიების მოლაპარაკებებით დაბრუნების პერსპექტივაზეა საუბარი, მონაწილეები აღნიშნავენ, რომ საჭიროა მოლაპარაკებები როგორც სეპარატისტულ მთავრობებთან, ისე რუსეთთან. მონაწილეების აზრით, რუსეთს დიდი გავლენა აქვს კონფლიქტების მოგვარებაზე, თუმცა რთულია რუსეთთან როგორც დიპლომატიური, ისე სამხედრო გზის გამონახვა. ნატო-სა და ევროკავშირს მონაწილეები აღიქვამენ, როგორც უსაფრთხოების გარანტიას, თუმცა მიიჩნევენ, რომ ოკუპირებული ტერიტორიებით ნატო საქართველოს არ მიიღებს და ვერც მათ დაბრუნებაში დაეხმარება. რაც შეეხება საქართველოს, ის თავისი ეკონომიკური და დემოკრატიული განვითარებით უნდა გახდეს მიმზიდველი აფხაზებისა და ოსებისთვის, აფხაზებს და ოსებს კი თავად უნდა გაუჩნდეთ საქართველოსთან დაბრუნების სურვილი.
- მონაწილეები მიიჩნევენ, რომ დღევანდელი ხელისუფლება საერთაშორისო ასპარეზზე ნაკლებად წარმატებულია. წარმატების ერთადერთ მაგალითად ახალგაზრდებს ვიზალიბერალიზაცია მიაჩნიათ.

დანართი

დანართი 1: ცხრილები დასახლების ტიპის და სქესის მიხედვით[3]

ცხრილი 1. თქვენი აზრით, დღეს საქართველოში რამდენად არიან ახალგაზრდები ჩართულები ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებში? (%)

	დასახლების ტიპი			სქესი		ყველა
	დედაქალაქი	ქალაქი	სოფელი	კაცი	ქალი	
სავსებით ჩართულები არიან	15	8	6	7	13	10
ნაწილობრივ ჩართულები არიან	58	56	56	52	62	57
დიდად არ არიან ჩართულები	20	23	23	26	19	22
საერთოდ არ არიან ჩართულები	4	6	7	8	3	6
არ ვიცი	3	6	9	8	4	6
სულ	100	100	100	100	100	100

ცხრილი 2. თქვენი აზრით, რა არის იმის მიზეზი, რომ ახალგაზრდები არ არიან ჩართულები პოლიტიკურ პროცესებში? (რესპონდენტებს შეეძლოთ 3 პასუხამდე დასახელება). (ნაკითხია იმ 28%-ისთვის, ვინც ფიქრობს, რომ ახალგაზრდები დიდად ან საერთოდ არ არიან ჩართულები ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებში) (%)

	დასახლების ტიპი			სქესი		ყველა
	დედაქალაქი	ქალაქი	სოფელი	კაცი	ქალი	
ახალგაზრდებს არ აინტერესებთ პოლიტიკა	39	44	40	38	45	41
ახალგაზრდებს სხვა პრობლემები ადარდებთ (მაგ. სწავლა, სამსახური, ა.შ.)	18	33	34	28	30	29
ახალგაზრდებს მდგომარეობის გაუმჯობესების იმედი არ აქვთ/არავის იმედი არ აქვთ (მაგ. „მაინც არაფერი გვეშველება", „ხალხისთვის არავინაა", „ჩვენ მაინც არავინ გადაგვაწყვეტინებს" და ა.შ.)	20	28	21	25	19	22
პოლიტიკური პარტიების კამპანია არ არის მიმართული ახალგაზრდების დაინტერესებაზე	28	13	23	20	25	22
საქართველოში ახალგაზრდა პოლიტიკოსები და ახალგაზრდებისგან შემდგარი პარტიები არ არიან	21	15	13	16	17	16
ახალგაზრდებს არცერთი პარტია არ მოსწონთ	18	11	17	19	11	15
ახალგაზრდებში პოლიტიკა ნეგატიურად აღიქმება (მაგ. „პოლიტიკა ბინძური საქმეა", „იქ მხოლოდ სხვა სფეროში შეუმდგარი ხალხი იყრის თავს", „პოლიტიკა ნორმალური ადა-მიანისთვის შეუფერებელია" და ა.შ.)	23	12	10	15	14	15

3. რიგ შემთხვევებში პასუხის ვარიანტები არ ჯამდება ზუსტად 100%-ად, რაც წილადების და დამრგვალების ბრალია. ასევე იმის ბრალი, რომ შესაძლებელი იყო ერთზე მეტი პასუხის ვარიანტის არჩევა.

პანდემიის გამო		2	5	1	5	3
სხვა	8	1	4	5	3	4
არ ვიცი		3	0	0	2	1

ცხრილი 3. თქვენი აზრით, რა შემთხვევაში აფიქსირებენ საქართველოში ახალგაზრდები საკუთარ აზრს აქციებზე გასვლით? (რესპონდენტებს შეეძლოთ რამდენიმე პასუხის დასახელება) (%)

	დასახლების ტიპი			**სქესი**		**ყველა**
	დედაქალაქი	**ქალაქი**	**სოფელი**	**კაცი**	**ქალი**	
ადამიანის უფლებების ან თავისუფლების შეზღუდვის (მაგ. „ბასიანის" მოვლენები) შემთხვევაში	52	43	42	40	52	46
რუსულ ოკუპაციასთან დაკავშირებული საკითხების შემთხვევაში	39	37	30	35	35	35
პრორუსული ქმედებების შემთხვევაში (მაგ. გავრილოვის ჩამოყვანა)	34	28	24	31	26	28
მძიმე სოციალური ან ეკონომიკური პრობლემების შემთხვევაში	15	16	18	18	15	16
არჩევნების გაყალბების შემთხვევაში	15	16	13	13	15	14
ეკოლოგიური პრობლემების ან გარემოს დაბინძურების შემთხვევაში	13	9	12	11	12	12
სხვა	2	1	1	3	0	2
ყველა შემთხვევაში გადიან აქციაზე	17	19	18	18	18	18
არცერთ შემთხვევაში არ გადიან აქციაზე	1	1	1	2	0	1
არ ვიცი	4	5	10	7	6	7

ცხრილი 4. პირადად თქვენ ხართ თუ არა ჩართული პოლიტიკურ ან სამოქალაქო პროცესებში შემდეგი ფორმით (წარმოდგენილია მხოლოდ მათი %, ვინც თქვა „დიახ") (%)

	დასახლების ტიპი			**სქესი**		**ყველა**
	დედაქალაქი	**ქალაქი**	**სოფელი**	**კაცი**	**ქალი**	
ხართ სამოქალაქო აქტივისტი (მაგ. რეგიონის პრობლემების გადაწყვეტაში მონაწილეობა)	8	7	11	11	6	9
ხართ ახალგაზრდული მოძრაობის წევრი	3	3	4	4	3	3
ხართ პოლიტიკური პარტიის წევრი	1	3	4	4	2	3
ხართ უმაღლეს სასწავლებელში ახალგაზრდული, პოლიტიკური კლუბის წევრი	2	2	2	2	2	2
სხვა	6	3	5	4	5	5

ცხრილი 5. მიიღეთ თუ არა მონაწილეობა 2020 წლის საპარლამენტო არჩევნებში? (%)

	დასახლების ტიპი			სქესი		ყველა
	დედაქალაქი	ქალაქი	სოფელი	კაცი	ქალი	
დიახ	60	69	71	69	65	67
არა	37	25	24	27	31	29
მაგ დროს ჯერ არ ვიყავი 18 წლის	2	4	4	4	3	4
არ მახსოვს	0	1	0	1	0	1
სულ	100	100	100	100	100	100

ცხრილი 6. არის თუ არა ამჟამად საქართველოში პოლიტიკური პარტია, რომელიც ახლოს დგას თქვენს შეხედულებებთან? (%)

	დასახლების ტიპი			სქესი		ყველა
	დედაქალაქი	ქალაქი	სოფელი	კაცი	ქალი	
დიახ	29	29	28	32	25	29
არა	62	64	65	59	69	64
არის პარტია, რომელიც ნაწილობრივ იზიარებს ჩემს შეხედულებებს	7	5	3	6	4	5
არ ვიცი	1	1	2	2	1	2
უარი პასუხზე	1	1	1	1	1	1
სულ	100	100	100	100	100	100

ცხრილი 7. ჩამოთვლილთაგან, რა არის თქვენთვის ყველაზე ღირებული? (რესპონდენტებს შეეძლოთ 3 პასუხამდე დასახელება) (%)

	დასახლების ტიპი			სქესი		ყველა
	დედაქალაქი	ქალაქი	სოფელი	კაცი	ქალი	
ქვეყნის უსაფრთხოება	41	48	51	46	48	47
ადამიანის უფლებები	41	40	39	34	46	40
პირადი უსაფრთხოება	29	29	32	25	35	30
ეკონომიკური კეთილდღეობა	27	27	21	25	25	25
რელიგიური მრწამსი	13	14	19	18	13	16
ქვეყნის დეოკუპაცია	18	14	12	15	14	14
კანონის უზენაესობა	17	13	10	14	11	13
თანასწორობა	8	9	10	10	8	9
გარემოს დაცვა	4	5	4	5	4	5
სხვა	2	0	0	2	0	1
ყველაფერი	20	19	19	19	20	19

ცხრილი 8. რა მიგაჩნიათ დღეს საქართველოს სამ მთავარ პრობლემად? (რესპონდენტებს შეეძლოთ 3 პასუხამდე დასახელება) (%)

	დასახლების ტიპი			სქესი		ყველა
	დედაქალაქი	ქალაქი	სოფელი	კაცი	ქალი	
ეკონომიკური და/ან სოციალური საკითხები (მაგ. უმუშევრობა, სამსახურის დაკარგვა)	42	45	51	44	48	46
განათლება	31	26	28	26	30	28
სამხრეთ ოსეთის და აფხაზეთის ტერიტორიები/ოკუპაცია	30	26	22	26	26	26
ჯანდაცვა (კოვიდის ჩათვლით)	22	22	27	19	29	24
ადამიანის უფლებები და დემოკრატია	18	16	17	16	19	17
ტერიტორიული მთლიანობის უფრო მეტად დარღვევის საფრთხე	15	19	16	15	18	17
დანაშაული და კრიმინალი	16	17	16	14	18	16
ქვეყნის შიდა სიტუაციის დესტაბილიზაცია /სამოქალაქო არეულობა	15	17	12	16	13	14
ადამიანის პიროვნული განვითარების შესაძლებლობების არარსებობა	10	11	14	11	13	12
გარემოს დაცვა	4	6	6	6	5	5
პროდასავლური (დასავლეთის ქვეყნების მომხრე) საგარეო კურსის ცვლილების საფრთხე	5	3	2	4	3	3
სხვა	1	0		1	1	1
ყველაფერი	16	15	14	16	14	15

9. თქვენი აზრით, რომელი სფეროს განვითარებას უნდა შეუწყოს ხელისუფლებამ ხელი პირველ რიგში? (რესპონდენტებს შეეძლოთ 2 პასუხამდე დასახელება) (%)

	დასახლების ტიპი			სქესი		ყველა
	დედაქალაქი	ქალაქი	სოფელი	კაცი	ქალი	
განათლება	53	49	42	43	52	48
სოფლის მეურნეობა	29	26	42	37	30	33
სამედიცინო სფერო/ჯანდაცვა	23	29	24	18	32	25
ტურიზმი	9	8	10	9	9	9
სოციალური დაცვა	7	9	9	7	11	9
თავდაცვა	8	9	7	10	6	8
ბიზნესი	9	6	4	7	5	6
გარემოს დაცვა	5	5	7	5	7	6
კულტურა	4	5	5	4	5	4
სპორტი	3	3	5	7	1	4
მეცნიერება	4	2	3	3	3	3
მაღალი ტექნოლოგიები	4	2	1	4	1	2

ინფრასტრუქტურა	2	2	2	3	1	2
საინჟინრო საქმე	2	0	1	1	1	1
სხვა	1	1	1	1	1	1
ყველა სფეროს	9	13	10	11	10	11

ცხრილი 10. ადამიანის უფლებები საქართველოში... (%)

	დასახლების ტიპი			**სქესი**		**ყველა**
	დედაქალაქი	**ქალაქი**	**სოფელი**	**კაცი**	**ქალი**	
დიდწილად დაცულია	9	7	7	10	5	8
ნაწილობრივ დაცულია	59	61	71	64	65	64
არ არის დაცული	32	31	21	25	29	27
არ ვიცი/უარი	0	1	1	1	1	1
სულ	100	100	100	100	100	100

ცხრილი 11. თქვენი აზრით, როგორი დამოკიდებულება აქვთ ახალგაზრდებს „ქურდული სამყაროს" მიმართ 2012 წლამდე პერიოდთან შედარებით? „ქურდული სამყარო"... (%)

	დასახლების ტიპი			**სქესი**		**ყველა**
	დედაქალაქი	**ქალაქი**	**სოფელი**	**კაცი**	**ქალი**	
უფრო პოპულარულია	28	37	32	30	34	32
ისეთივე პოპულარულია	19	14	16	18	15	17
ისეთივე არაპოპულარულია	4	4	4	4	4	4
ნაკლებად პოპულარულია	39	30	29	30	35	33
არ ვიცი რას ნიშნავს „ქურდული სამყარო"		1	2	1	1	1
არ ვიცი/უარი	10	14	17	17	11	14
სულ	100	100	100	100	100	100

ცხრილი 12. შესაძლებლობა რომ გქონდეთ, რომელ ქვეყანაში წახვიდოდით ლეგალურად სამუშაოდ? (რესპონდენტებს შეეძლოთ რამდენიმე პასუხის დასახელება) (%)

	დასახლების ტიპი			**სქესი**		**ყველა**
	დედაქალაქი	**ქალაქი**	**სოფელი**	**კაცი**	**ქალი**	
ამერიკის შეერთებულ შტატებში	28	24	18	24	22	23
გერმანიაში	21	18	21	17	24	20
საფრანგეთში	6	4	7	6	6	6
იტალიაში	5	4	5	4	6	5
ესპანეთში	3	1	2	3	2	2
ისრაელში	2	3	1	3	2	2
თურქეთში	2	1	3	1	3	2
რუსეთში	1	1	2	2	0	1
საბერძნეთში	1	1		1	1	1

სხვა	24	14	17	22	14	18
სულ ერთია/ყველგან წავიდოდი	0	1	1	1	1	1
არსად არ წავიდოდი	27	37	38	34	34	34
არ ვიცი/უარი	5	6	3	3	6	4

ცხრილი 13. თქვენი აზრით, რამდენად არის ან არ არის დამაკმაყოფილებელი განათლების დონე საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებში? (%)

	დასახლების ტიპი			**სქესი**		**ყველა**
	დედაქალაქი	**ქალაქი**	**სოფელი**	**კაცი**	**ქალი**	
სრულიად დამაკმაყოფილებელია	2	6	6	3	6	5
დამაკმაყოფილებელია	41	49	57	46	53	49
არ არის დამაკმაყოფილებელი	42	33	25	34	32	33
საერთოდ არ არის დამაკმაყოფილებელი	13	7	4	9	7	8
არ ვიცი	3	5	7	7	2	5
სულ	100	100	100	100	100	100

ცხრილი 14. თქვენი აზრით, რამდენად დიდი ან მცირე გავლენა აქვს მართლმადიდებლურ ეკლესიას საქართველოს მოსახლეობაზე? (%)

	დასახლების ტიპი			**სქესი**		**ყველა**
	დედაქალაქი	**ქალაქი**	**სოფელი**	**კაცი**	**ქალი**	
ძალიან დიდი	35	28	22	32	24	28
დიდი	37	35	32	34	35	34
საშუალო	20	27	33	23	31	27
მცირე	4	4	2	4	3	4
საერთოდ არ აქვს გავლენა	1	3	4	2	3	2
არ ვიცი/უარი	3	4	7	6	4	5
სულ	100	100	100	100	100	100

ცხრილი 15. თქვენი აზრით, რამდენად დიდი ან მცირე გავლენა აქვს ისლამს, როგორც რელიგიას, საქართველოს მოსახლეობაზე? (%)

	დასახლების ტიპი			**სქესი**		**ყველა**
	დედაქალაქი	**ქალაქი**	**სოფელი**	**კაცი**	**ქალი**	
ძალიან დიდი	1	2	2	2	1	2
დიდი	5	7	7	6	7	6
საშუალო	18	22	29	21	25	23
მცირე	47	37	31	36	39	38
საერთოდ არ აქვს გავლენა	21	20	18	19	19	19
არ ვიცი/უარი	8	12	14	15	8	11
სულ	100	100	100	100	100	100

ცხრილი 16. თქვენი აზრით, უნდა ფინანსდებოდეს თუ არა მართლმადიდებლური ეკლესია სახელმწიფოს ბიუჯეტიდან? (%)

	დასახლების ტიპი			სქესი		ყველა
	დედაქალაქი	ქალაქი	სოფელი	კაცი	ქალი	
დიახ	43	58	60	54	53	54
არა	45	26	24	30	33	32
დიახ, მაგრამ ნაკლები თანხით	7	7	7	7	6	7
არ ვიცი/უარი	5	9	9	8	8	8
სულ	100	100	100	100	100	100

ცხრილი 17. თქვენი აზრით, უნდა ფინანსდებოდეს თუ არა სხვა რელიგიური ჯგუფები/ინსტიტუტები სახელმწიფოს ბიუჯეტიდან? (%)

	დასახლების ტიპი			სქესი		ყველა
	დედაქალაქი	ქალაქი	სოფელი	კაცი	ქალი	
დიახ	30	35	40	34	37	35
არა	63	52	46	54	53	54
არ ვიცი/უარი	7	13	13	12	10	11
სულ	100	100	100	100	100	100

ცხრილი 18. რამდენად მნიშვნელოვანია თქვენთვის საქართველოს ინტეგრაცია ევროკავშირში? (%)

	დასახლების ტიპი			სქესი		ყველა
	დედაქალაქი	ქალაქი	სოფელი	კაცი	ქალი	
ძალიან მნიშვნელოვანია	55	52	44	47	53	50
საკმაოდ მნიშვნელოვანია	29	32	37	31	35	33
არც ისე მნიშვნელოვანია	11	11	11	13	9	11
საერთოდ არ არის მნიშვნელოვანი	4	3	4	6	1	4
არ ვიცი	0	2	4	3	1	2
სულ	100	100	100	100	100	100

ცხრილი 19. რამდენად მნიშვნელოვანია თქვენთვის საქართველოს ინტეგრაცია ნატოში? (%)

	დასახლების ტიპი			სქესი		ყველა
	დედაქალაქი	ქალაქი	სოფელი	კაცი	ქალი	
ძალიან მნიშვნელოვანია	56	54	45	48	55	51
საკმაოდ მნიშვნელოვანია	26	28	34	28	32	30
არც ისე მნიშვნელოვანია	12	13	13	14	11	13
საერთოდ არ არის მნიშვნელოვანი	5	3	5	7	2	4
არ ვიცი/უარი	1	3	3	2	2	2
სულ	100	100	100	100	100	100

ცხრილი 20. თქვენი აზრით, ამჟამად რა მიმართულებით ხორციელდება საქართველოს საგარეო პოლიტიკის კურსი, უფრო რუსეთისკენ თუ უფრო დასავლეთისკენ? (%)

	დასახლების ტიპი			სქესი		ყველა
	დედაქალაქი	ქალაქი	სოფელი	კაცი	ქალი	
უფრო რუსეთისკენ	39	31	21	28	32	30
უფრო დასავლეთისკენ	36	42	53	41	47	44
ორივე მიმართულებით	4	5	5	5	4	4
არცერთი მიმართულებით	7	4	3	7	2	4
არ ვიცი/უარი	14	19	18	19	15	17
სულ	100	100	100	100	100	100

ცხრილი 21. თქვენი აზრით, საქართველოს პოლიტიკა რუსეთთან მიმართებით დღეს არის... (%)

	დასახლების ტიპი			სქესი		ყველა
	დედაქალაქი	ქალაქი	სოფელი	კაცი	ქალი	
ძალიან დამთმობი	27	21	13	20	20	20
უფრო დამთმობი, ვიდრე მტკიცე	36	27	32	33	32	32
ნეიტრალური	22	31	32	27	30	28
უფრო მტკიცე, ვიდრე დამთმობი	5	7	8	6	8	7
ძალიან მტკიცე	2	2	3	2	3	2
არ ვიცი/უარი	8	12	11	12	8	10
სულ	100	100	100	100	100	100

ცხრილი 22. რამდენად მისაღები ან მიუღებელია თქვენთვის საქართველოს დღევანდელი პოლიტიკა რუსეთთან მიმართებით? (%)

	დასახლების ტიპი			სქესი		ყველა
	დედაქალაქი	ქალაქი	სოფელი	კაცი	ქალი	
სავსებით მისაღებია	1	2	3	2	2	2
უფრო მისაღებია, ვიდრე მიუღებელი	16	16	20	19	16	18
უფრო მიუღებელია, ვიდრე მისაღები	34	35	36	32	38	35
საერთოდ მიუღებელია	39	30	29	31	34	33
არ ვიცი/უარი	11	17	12	15	11	13
სულ	100	100	100	100	100	100

ცხრილი 23. რომელი ქვეყანა მიგაჩნიათ საქართველოს მთავარ პოლიტიკურ პარტნიორად? (%)

	დასახლების ტიპი			სქესი		ყველა
	დედაქალაქი	ქალაქი	სოფელი	კაცი	ქალი	
ამერიკის შეერთებული შტატები	42	42	37	37	43	40
უკრაინა	5	5	3	6	2	4
აზერბაიჯანი	1	3	8	4	4	4
რუსეთი	4	2	4	5	2	3
თურქეთი	4	3	3	4	3	3
გერმანია	1	3	3	2	2	2
სხვა	6	5	6	6	6	6
არცერთი	16	13	10	15	11	13
ყველა	0	1	1	1	0	1
არ ვიცი/უარი	22	24	26	22	25	24
სულ	100	100	100	100	100	100

ცხრილი 24. რომელი ქვეყანა მიგაჩნიათ საქართველოს მთავარ მტრად? (%)

	დასახლების ტიპი			სქესი		ყველა
	დედაქალაქი	ქალაქი	სოფელი	კაცი	ქალი	
რუსეთი	71	72	62	63	72	68
თურქეთი	3	3	6	6	2	4
ამერიკის შეერთებული შტატები	3	1	1	2	0	1
სომხეთი	0	0	1	1	0	1
სხვა	1	0	1	2	0	1
არცერთი	9	9	13	10	10	10
ყველა	3	3	2	5	1	3
არ ვიცი/უარი	9	13	15	12	13	12
სულ	100	100	100	100	100	100

ცხრილი 25. თქვენი აზრით, რამდენად ეფექტური ან არაეფექტურია საქართველოს დღევანდელი პოლიტიკა ოკუპირებული ტერიტორიების დასაბრუნებლად? (%)

	დასახლების ტიპი			სქესი		ყველა
	დედაქალაქი	ქალაქი	სოფელი	კაცი	ქალი	
ძალიან ეფექტურია	2	2	3	2	2	2
საკმაოდ ეფექტურია	5	7	13	7	10	9
არც ისე ეფექტურია	22	30	38	29	32	30
საერთოდ არაეფექტურია	64	53	40	53	52	52
არანაირი პოლიტიკა არ არსებობს	4	3	2	4	2	3
არ ვიცი/უარი	3	4	4	5	3	4
სულ	100	100	100	100	100	100

ცხრილი 26. რამდენად ხშირად ან იშვიათად გაქვთ ურთიერთობა ადამიან(ებ)თან, რომელიც (რომლებიც) ამჟამად აფხაზეთში ან სამხრეთ ოსეთის/ცხინვალის რეგიონში ცხოვრობს (ცხოვრობენ) (იგულისხმება როგორც პირისპირი, ისე ინტერნეტით ურთიერთობა)? (%)

	დასახლების ტიპი			სქესი		ყველა
	დედაქალაქი	ქალაქი	სოფელი	კაცი	ქალი	
ძალიან ხშირად	3	2	3	3	3	3
ხშირად	6	8	4	7	5	6
ზოგჯერ	4	5	6	5	5	5
იშვიათად	12	8	10	11	9	10
არასდროს	75	77	77	75	77	76
სულ	100	100	100	100	100	100

ცხრილი 27. რამდენად ხშირად ან იშვიათად იღებთ ინფორმაციას აფხაზეთში მიმდინარე პროცესებზე? (%)

	დასახლების ტიპი			სქესი		ყველა
	დედაქალაქი	ქალაქი	სოფელი	კაცი	ქალი	
ძალიან ხშირად	3	1	4	3	3	3
ხშირად	13	14	8	12	11	11
ზოგჯერ	17	16	15	17	15	16
იშვიათად	45	43	45	42	47	45
არასდროს	22	25	27	26	23	25
სულ	100	100	100	100	100	100

ცხრილი 28. რამდენად ხშირად ან იშვიათად იღებთ ინფორმაციას სამხრეთ ოსეთის/ ცხინვალის რეგიონში მიმდინარე პროცესებზე? (%)

	დასახლების ტიპი			სქესი		ყველა
	დედაქალაქი	ქალაქი	სოფელი	კაცი	ქალი	
ძალიან ხშირად	2	0	2	1	2	1
ხშირად	10	11	7	10	9	9
ზოგჯერ	16	16	16	15	16	16
იშვიათად	49	45	46	44	50	47
არასდროს	24	27	29	29	24	27
არ ვიცი/უარი	0	1		0		0
სულ	100	100	100	100	100	100

ცხრილი 29. რა წყაროებიდან იღებთ ინფორმაციას აფხაზეთში/სამხრეთ ოსეთის რეგიონში მიმდინარე პროცესებზე ყველაზე ხშირად? (რესპონდენტებს შეეძლოთ 2 პასუხამდე დასახელება) (კითხვა დაესვათ იმ 76%-ს, ვინც თქვა, რომ გარკვეული სიხშირით მაინც იღებს ინფორმაციას სამხრეთ ოსეთის ან აფხაზეთის რეგიონში მიმდინარე პროცესებზე). (%)

	დასახლების ტიპი			**სქესი**		**ყველა**
	დედაქალაქი	**ქალაქი**	**სოფელი**	**კაცი**	**ქალი**	
სოციალური ქსელები	73	74	70	72	73	72
ტელევიზია (ონლაინ გადაცემების გარდა)	31	40	40	37	37	37
აფხაზეთში/ცხინვალის რეგიონში მყოფი ოჯახის წევრები, მეგობრები, ნათესავები, კოლეგები	12	14	12	12	13	12
მედიასაშუალებების ვებგვერდები	11	8	9	10	9	9
საქართველოში მყოფი ოჯახის წევრები, მეგობრები, ნათესავები, კოლეგები	10	6	8	10	6	8
საგანმანათლებლო დაწესებულებები	1	0	0	0	1	1
სხვა	3	1	1	1	1	1

დანართი 2: ფოკუს ჯგუფების მონაწილეთა მახასიათებლები

ფოკუს ჯგუფების მონაწილეთა განაწილება საცხოვრებელი ადგილისა და სქესის მიხედვით

		განაწილება სქესის მიხედვით		**სულ**
		მამრობითი	**მდედრობითი**	
1	თბილისი	4	4	8
2	თელავი (ქალაქი)	4	4	8
3	კახეთი (სოფლის ტიპის დასახლებები)	4	5	9
4	შიდა ქართლი (სოფლის ტიპის დასახლებები)	4	4	8
5	ქვემო ქართლი (ეთნიკურად აზერბაიჯანელი ახალგაზრდები ქალაქის ტიპის დასახლებებიდან)	4	4	8
6	ქვემო ქართლი (ეთნიკურად აზერბაიჯანელი ახალგაზრდები სოფლის ტიპის დასახლებებიდან)	4	1	5
7	ქუთაისი (ქალაქი)	4	4	8
8	იმერეთი (სოფლის ტიპის დასახლებები)	4	4	8
9	სამცხე-ჯავახეთი (ეთნიკურად სომეხი ახალგაზრდები ქალაქის ტიპის დასახლებებიდან)	4	4	8
10	სამცხე-ჯავახეთი (ეთნიკურად სომეხი ახალგაზრდები სოფლის ტიპის დასახლებებიდან)	4	4	8
11	სამცხე-ჯავახეთი (ეთნიკურად ქართველი ახალგაზრდები ქალაქის ტიპის დასახლებებიდან)	4	4	8
12	ბათუმი (ქალაქი)	4	4	8
13	აჭარა (სოფლის ტიპის დასახლებები)	3	5	8
14	ზუგდიდი (ქალაქი)	4	4	8
15	სამეგრელო (სოფლის ტიპის დასახლებები)	3	5	8
16	სვანეთი (სოფლის ტიპის დასახლებები)	4	4	8
17	რაჭა (სოფლის ტიპის დასახლებები)	2	6	8
	სულ	64	70	134